# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 თებერვალი 2008 №038 (3262)

ფასი 50 თეთრი


# საუცხოო პლანეტელები

## მილანმა და კალაძემ არსენალი ჩარაზეს




სელტიკი 2:3 ბარსელონა



**თემურ ქეცბაია ღირსეულია** 2



**ლევან ყენია ვუნდერკინდების ცვენაში** 3



**მთავარია პრესა!**

ირანელმა ჟურნალისტებმა ხავიერ კლემენტე გაწნეხეს 9

# საქართველო გადასათოვლია



## ეროვნულ ჩემპიონატში თეთრი ლაქებია

საქართველოში საფეხბურთო სეზონი კი განახლდა, მაგრამ უამინდობის გამო მატჩების ჩატარება ფერხდება.

„მაღაროელი“ — „ამერის“ სათასო შეხვედრა დიდთოვლობის გამო ჭიათურიდან ჯერ ქუთაისში გადაიტანეს, შემდეგ გორში. იქაც გადათეთრებული იყო მოედანი, მაგრამ მატჩი მაინც ჩატარდა.

23 თებერვალს კი ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე უნდა დაიწყოს და ორი თამაშის ჩატარება უკვე ეჭვქვეშაა — ზუგდიდში „მგლები“ ახალციხის „მესხეთს“ მასპინძლობს, მაგრამ იქ იმხელა თოვლია, თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია. სავარაუდოდ, თოვლიანობას „ბათუმი“ — „დილაც“ შეეწირება.

საქმეში უკეთ გასარკვევად, გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს შევეხმიანეთ...

„ზუგდიდში და ბათუმში ისეთი თოვლია, შესაძლოა, მეორე წრის პირველი ტურის სრულად ჩატარება შეგვიფერხდეს. ჩვენ იქაური კლუბების ხელმძღვანელებს ვესაუბრეთ — თუ 23 თებერვლამდე ამინდი გამოკეთდა, თამაშები არ გადაიდება, თუ არა და, სარეზერვო დღეებში, 26-27 თებერვალს ჩავატარებთ“.

და ერთიც: საქართველოს ჩემპიონატის და თასის მატჩებს რომ კომპანია „კოლხიდა“ გააშუქებს, აქამდეც არაერთხელ გვითქვამს. „კოლხიდას“ რეპორტაჟები 17 თებერვალს „ოლიმპი“ — „ზესტაფონის“ სათასო შეხვედრით უნდა დაეწყო, თუმცა ტექნიკური პრობლემა გაჩნდა და ტრანსლაცია არ მოხერხდა. როგორც ბურჯალიანმა გვითხრა, ყველა პრობლემა უკვე მოგვარებულია და 23 თებერვალს „დინამო“ — „ოლიმპი“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაიცემა. მატჩი 14 საათსა და 10 წუთზე დაიწყება.


ღირსების ორდენის კავალერი

თემურ ქეცბაია

საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და

ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მიღწეული წარმატებისათვის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი



# თემურ ქეცბაია ღირსეულია

## ლატვიასთან ასე არ უნდა ვაგებდეთ

თემურ ქეცბაია — ეს სახელი და გვარი ქართული ფეხბურთის ქომაგისთვის ძვირფასია. გუშინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა ქეცბაია ღირსების ორდენით დააჯილდოვა. თემური კვიპროსზე ცხოვრობს, იქაურ „ანართოსისს“ წვრთნის და ამ ჯილდოსაც იქ ჩაუტანენ...

**— რას ნიშნავს თემურ ქეცბაიასთვის თავისი ქვეყნის ღირსების ორდენით დაჯილდოვება?**

— თემურ ქეცბაია ბედნიერია. ეს უდიდესი სიხარულია, შენს ქვეყანაში რომ ღირსების ორდენით დაგაჯილდოვებენ, ესე იგი, უყვარხარ, ახსოვხარ და პატივს გცემენ. ულრმესი მადლობა ყველას ასეთი დაფასებისთვის!

**— თქვენ კვიპროსზე ხართ და ეს ამბავი ვინ შეგატყობინათ?**

— ჩემმა ძმამ დათომ დამირეკა და მითხრა, რომ ღირსების ორდენით დამაჯილდოვეს. ჩემი ქვეყნის ამ ლამაზ საჩუქარს „ანართოსისის“ ფეხბურთელი კობა წიტაიშვილი ჩამომიტანს, რომელიც ახლა საქართველოშია.

**— ახალ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე კვიპროსის ნაკრებია. საქართველოში ყველას აინტერესებს, როგორი გუნდი ჰყავს კვიპროსს — წლებია, კვიპროსზე ხართ და მათ ფეხბურთს კარგად იცნობთ..**

— ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ ჰყავთ. ამ ნაკრებთან ვერავინ გაისეირნებს, განსაკუთრებით შინ თამაშობენ კარგად. ასე რომ, ნურავის შეექმნება ილუზია, რომ საქართველოს ნაკრები აქ ადვილად მოიგებს.

**— თვითონ საქართველოს ნაკრებზე რას ფიქრობენ კვიპროსელები?**

— ძალიან სერიოზულად უდგებიან საკითხს. აქაურებმა იციან ქართველი ფეხბურთელები და მათი პოტენციალი. დარწმუნებული ვარ, აქაც და თბილისშიც დიდი ბრძოლები გაიმართება.

**— საერთოდაც, ჩვენს შესარჩევ ჯგუფზე რას იტყვით?**

— საქართველოს ნაკრებს რთული მეტოქეები ერგო. რა თქმა უნდა, იტალია ფავორიტია, მეორე-მესამე ადგილებზე კი ირლანდიასა და ბულგარეთს დავაყენებ.

**— ჩვენი ნაკრების შანსებზე რას იტყვით?**

— ძალიან ძნელია შანსებზე საუბარი. ამას ყველა ვოცნებობთ, რომ საქართველოს ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს, მაგრამ ისიც კარგად მოგვეხსენება, ეს ურთულესი იქნება, მით უმეტეს, როცა ლატვიასთან ჩვენების თამაში ნანახი გაქვს.

**— გულგატეხილი ჩანხართ...**

— მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგური მატჩი იყო, ლატვიასთან ასე არ უნდა ვაგებდეთ. რამდენიმე მოთამაშე გვაკლდა, თუმცა ძირითადი ბირთვი იყო. განსაკუთრებით კი გული იმან დამწყვიტა, რომ დაცვა ოპტიმალური გახლდათ და ამდენი უხეში შეცდომა დაუშვეს. იმედი მაქვს, ჩვენები შესარჩევ თამაშებში უკეთესად გამოვლენ.

**— თქვენს კლუბზე, „ანართოსისზეც“ გვითხავთ. ჩემპიონატს ლიდერობით და ბუნებრივია, ჩემპიონობაზეც ფიქრობთ...**

— უახლოეს მდევარს 8 ქულით ვუსწრებთ, მეორე წრის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი, შემდეგ კი აქ პლეი ოფია. მომავალ ოთხშაბათს მესამეადგილოსან „ომონიას“ ვხვდებით და ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია — თუ გავიმარჯვებთ, დიდ ნაბიჯს გადავდგამთ ჩემპიონობისკენ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბათუმი ხმაურიანი შენაძენებით ხმაურობს

## ზვიად სტურუა: ახლა ყველაფერი ჩემზეა



**მეორე** წრეში 13 მატჩია და, მართალია, „ბათუმი“ ჩემპიონატის აუტსაიდერია, ისეთი შემადგენლობა შეკრიბა, სული და გული.

შემატებულ ფეხბურთელებზე უკვე ვთქვით და დღე-დღეზე ზღვისპირელები კიდევ აპირებენ ხმაურიან ტრანსფერებს.

მართალია, მომავალი შენაძენების გვარები არ სახელდება, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, საუბარი გიორგი ციმაკურიძეზე და მამია ჯიქიაზე ყოფილა — თუმც ვიმეორებთ, ამაზე თავს ვერ დავდებთ.

„22 თებერვლამდე მოვიცადოთ, შემადგენლობას ჯერ ვერ ვახმაურებთ, მაგრამ გეტყვით, რომ მეორე წრეში კარგი გუნდი გვეყოლება“ — გვითხრა „ბათუმის“ უფროსმა თამაზ ცინარიძემ.

ზღვისპირელთა უკვე შეძენილ ფეხბურთელთა შორისაა 29 წლის მეკარე ზვიად სტურუა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებ სტურუას ბოლო წლებში ვერ აეწყო საქმე, რამდენიმე კლუბი გამოიცვალა, თუმც სტაბილურად ვერცერთში ითამაშა.

— „ბათუმთან“ კონტრაქტი გავაფორმე. ვეცდები, გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენაში დავეხმარო და ვნახოთ — გვითხრა სტურუამ, ვისაც გუშინ ვესაუბრეთ.

**— აზერბაიჯანულ „კარვანში“ იყავი გასინჯვაზე...**

— თუმცა „კარვანმა“ უარი თქვა ჩემს აყვანაზე.

**— როგორ ფიქრობ, შეუძლია „ბათუმს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენა?**

— შეუძლია. ამხელა ტრადიციის გუნდი უმაღლესი ლიგიდან რომ გავარდეს, ვერ იქნება კარგი ამბავი.

**— შენს გარდა, „ბათუმში“ მეკარე ირაკლი თოთლაძეცაა...**

— კონკურენციას მივესალმები. ეგაა, თოთლაძეს ახლა მცირე ტრავმა აქვს. გვყავს კიდევ ერთი ახალგაზრა მეკარე.

**— როგორ ფიქრობ, „ტორპედოში“ და „ლოკომოტივში“ რომ იყავი, იმ ფორმაში დაბრუნებას შეძლებ?**

— განახლდება სეზონი და გამოჩნდება. ისე კი, ძალიან კარგად დამხვდნენ გუნდში და ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

**ილია ნანობაშვილი**

# სანდრო კობახიძის პირველი დნიპროელი

**თავისი** პირველი უკრაინული გოლი შეაგდო დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ქართველმა ლეგიონერმა სანდრო კობახიძემ.

„დნიპრო“ ამხანაგურ მატჩში ჟოდინოს „ტორპედოს“ ეთამაშა და 2:1 დაამარცხა.

ჯაბა კანკავამ შეხვედრა სასტარტოში დაიწყო და ორჯერ გოლის გატანაც მართებდა, თუმც ჯერ თავისიანს მოარტყა, მეორედ კი ოდნავ უმტყუნა მიზანმა.

კანკავა 71-ე წუთზე შეცვალეს.

ჯაბას შეცვლამდე ხუთი წუთით ადრე მოედანზე კობახიძე შევიდა და მე-80 წუთზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, იოან მაზილუს პასის შემდეგ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და თავისიანებს მოაგებინა.



ჯაბა იოსელიანის ფოტო

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონის საქმეს კრება იტყვის

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატი რამდენიმე დღეში განახლდება და შეკრებაზე მყოფი გუნდები შინ დაბრუნდნენ: ბოლნისის „სიონმა“ ქობულეთში ორი კვირა გატარა და ტესტ-მატჩებიც გამართა.

გუშინ გიორგი ყიფშიძემ გუნდი ერთი დღით დაასვენა, დღეს კი კრება ჩატარდება. როგორც „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, დღევანდელ შეხვედრაზე ბევრი რამ უნდა გაირკვეს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ უპატრონებს გუნდს და საერთოდ, რომელი ფეხბურთელები დარჩებიან ბოლნისურ კლუბში. ეს ყველაფერი კრებაზე გაირკვევა.

**ნუკრი ლოლაძე**

# ორბელაძეს ერთი დარჩა

**უჟგოროდის** „ზაკარპატიეს“ მწვრთნელისთვის თავის მოწონებას ცდილობს სერგო ორბელაძე.

უჟგოროდელებმა ორი საკონტროლო მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს — ჯერ ხორვატულ „ზაგრებს“ 3:1 სძლიეს, შემდეგ კი თურქეთის ქვედალიგელ „ქართალასფორს“ — 4:0.

ორბელაძემ ხორვატებთან პირველი ტაიმი ითამაშა, თურქებთან კი სრულად გაისარჯა. ზაკარპატიელთა მწვრთნელ ოლეგ შარანის თქმით, კონტრაქტის გაფორმებამდე ორბელაძეს კიდევ ერთ საკონტროლო მატჩში გამოცდის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# განუგრავას კლადნო-შანსი



**„ბოლესლავის“** ახალწვეულ გიორგი განუგრავას ჩეხეთის გამბრინუსლიგის წინა ტურში არ უთამაშია, თუმც 18-კაციან განაცხადში იყო. „ბოლესლავის“ თავკაცმა ზდენეკ შჩასნიმ ქართველზე თქვა, უახლოეს მატჩში მასაც დავეყრდნობი, მით უმეტეს, რომ გუნდს ახალი სისხლი სჭირდებაო.

მომდევნო უქმეებზე განუგრავას გუნდი „კლადნოს“ ესტუმრება.

მანამდე კი 19 წლის ქართველმა ნახევარმცველმა ორი მატჩი ჩაატარა „ბოლესლავის“ მეორე გუნდში და აქედან ერთი, ძალიან ყოჩაღად: „ბოჰემიანსის“ ახალგაზრდებთან 3:2 მოგებულში ჩვენიანმა ორი საგოლე პასი გააკეთა, გუშინ კი ბოლესლაველებმა „სლოვაცკოსთან“ 0:1 დათმეს და გიორგისაც (66 წუთი ითამაშა) თავი არ გამოუჩენია.

**ილია ნანობაშვილი**

# ალავიძე პასუხს ელის

**საქართველოს** ნაკრების ნახევარმცველმა ზურაბ მენთეშაშვილმა ტრავმა მოირჩინა და ლატვიურ „ვენტსპილსს“ თურქულ შეკრებაზე გაჰყვა. ლატვიელები თურქეთში 4 მარტამდე დარჩებიან და 6 ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

„ვენტსპილსში“ რომ მეორე ქართველი, „ამერის“ ნახევარმცველი არჩილ ალავიძეც გახლდათ, ადრე ვწერდით.

ალავიძე გუშინ დაბრუნდა თბილისში და ახლა კლუბებს შორის მოლაპარაკების დასრულებას ელის. როგორც შევიტყვეთ, ამ ტრანსფერის გაფორმებას (ლაპარაკია იჯარაზე) წინ ბევრი არაფერი უდგას და თუ ასე მოხდა, ალავიძე თურქეთში ჩააკითხავს გუნდს.

**კახა ზალამბერიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
დაბადების დღეს ულოცავს ლიგის პრეზიდენტ
დიმიტრი რამიშვილს და ჯანმრთელობას,
წარმატებას და სიხარულს უსურვებს!

# ახალი შეტევა ახალ ათიანზე

სამარის „კრილია სოვეტოვიდან“ მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადასვლის შემდეგ **დავით მუჯირი** ცოტა ხნით პრესასთან ურთიერთობას გაურბოდა, მიზეზი გეცოდინებათ — ჩვენებურის კლუბის შეცვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ორი დღის წინ მუმუმ ახალი კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს მისცა ინტერვიუ და ჟურნალისტებსაც „აგრძნობინა“, რომ მათთვის მწვანე შუქი აინთო. ჟურნალისტებთან ურთიერთობა კი მუჯირს ნამდვილად არ ეშლება — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი მუდამ ხალისიანად საუბრობს. „სპორტ-ექსპრესმა“ თურქულ შეკრებაზე მყოფი მუმუ სასტუმრო „კორნელია დე ლუქსში“ მოიხელთა, სადაც ყოფილ თანაგუნდელ მარკო ტოპიჩს ესაუბრებოდა...



## დავით მუჯირი: როცა მალხაზ ასათიანი დაოჯახდება, ინტერნეტს დაუმეგობრდება

**— ყოფილი თანაგუნდელებიდან კიდევ ვის ეკონტაქტებით?**

— თითქმის ყველას. ორ წელიწადში „კრილია“ ჩემთვის მშობლიურ გუნდად იქცა. „ლოკომოტივში“ გადასვლის შემდეგ ტელეფონით ვესაუბრე ვასილიევს, ლაგიევკას, კოვბას... სამწუხაროდ, ვერ დავუკავშირდით ბუტს. მას შეკრებებზე მობილური ყოველთვის გამორთული აქვს.

**— „კრილიას“ თამაშების ყურებას მომავალშიც ინტერესით გააგრძელებთ?**

— აუცილებლად. ყოველთვის ვუგულშემატკივრებ „კრილიას“ და ვუსურვებ წარმატებებს.

**— „ლოკომოტივს“ უკვე საკუთარ გუნდად თვლით?**

— „ლოკომოტივში“ კარგი ატმოსფეროა, გუნდში თბილად მიმიღეს. პირველი დღიდანვე თავს კომფორტულად ვგრძნობ. ძალიან დამეხმარა დიდი ხნის მეგობარი მალხაზ ასათიანი, თუმც გუნდში ისეთი ბიჭები არიან, მახოს გარეშეც არ გამიჭირდებოდა.

**— ერთი შეხედვით, ჩანს, რომ ზედმეტი წონა გაქვთ. ასეა?**

— წლის დასაწყისში ნამდვილად მქონდა — შვებულების შემდეგ თითქმის ყოველთვის ასეა. პირველივე შეკრებაზე ყველაფერი მწყობრში ჩადგა. ასე რომ, მგონი, ახლა გეჩვენებათ.

**— რახიმოვისა და თქვენი გზები ადრეც გადაიკვეთა...**

— როდესაც „შტურმში“ მივედი, ის და სტანისლავ ჩერჩესოვი ჯერ კიდევ თამაშობდნენ. შემდეგ ორივე მწვრთნელი გახდა...

**— მართალია, რომ ავსტრიაში გადასვლაც რახიმოვის დახმარებით მოხდა?**

— როდესაც გუნდი არცთუ ცნობილ ფეხბურთელს ყიდულობს, რჩევას, ვინმე ავტორიტეტს ეკითხება. ჩემზეც რახიმოვს ჰკითხეს და...

**— პირველ შეკრებაზე საკონტროლო მატჩებში 29-ნომრიანი მაისურით ითამაშეთ. რატომ შეცვალეთ მე-10 ნომრით?**

— ესპანეთში ყოფნისას, რაც პირველად ხელში მოხვდათ, ის მაისურა მომცეს. მერე კი თავისუფალი ნომრებიდან ათიანი ავირჩიე. „კრილიაში“ და „შტურმში“ ეს ნომერი დაკავებული იყო და 20-ნომრიანი მაისურა მეცვა, „ლოკომოტივში“ პირიქით — 20 ნომერი კონცედალოვის აღმოჩნდა და...

**— ქომაგთ კიდევ ერთი საბაბი მიეცით, დმიტრი ლოსკოვს შეგადარონ. ეს ხომ არ გბოჭავთ?**

— მე არც პირველი ვარ და არც ბოლო. „ლოკომოტივში“ მივედი, რათა ვაჩვენო, რა შემიძლია, იმის მიუხედავად, რა ნომრიანი მაისურით ვითამაშებ.

**— თანაამპლუელთაგან ვინ არის თქვენი კერპი?**

— ზინედინ ზიდანი. შანსიც მქონდა, მასთან ერთად მეთამაშა. 1998 წელს „იუვენტუსს“ უნდოდა ჩემი წაყვანა, მაგრამ თბილისის „დინამომ“ არ გამიშვა. მაშინ საქართველოში ეს ყველას გამოგონილი ამბავი ეგონა, სინამდვილეში საქმის კურსში ორი-სამი ადამიანი იყო.

**— უნივერსიტეტი უკვე დაამთავრეთ?**

— სამწუხაროდ, არა. საქართველოდან წასვლამ მომიწია და სწავლისთვის ველარ მოვიცალე. საფეხბურთო კარიერის შემდეგ დავასრულებ.

**— რატომ აირჩიეთ ჟურნალისტიკა?**

— ეს უფრო საკუთარ თავთან გამოწვევა იყო. შემომთავაზეს, ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტულ ჟურნალისტიკაზე მესწავლა, სადაც „დინამოდან“ მოხვედრა გარანტირებული იყო, თუმც ვარჩიე, ჩემით ჩამებარებინა უფრო პრესტიჟულ უნივერსიტეტში.

**— შეიძლებოდა, ფეხბურთელის ნაცვლად ჟურნალისტი გამოსულიყავით?**

— არანაირად. საფეხბურთო ოჯახიდან ვარ და ბურთთან ერთადაც კი ვიძინებდი.

**— სტადიონზე მამამ მიგიყვანათ?**

— არა, ჩემით მივედი. სხვა საქმეა, რომ ცნობილი ფეხბურთელის შვილს თანატოლებზე მეტი შანსი მექნებოდა, მაგრამ ადამიანმა გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს. ჩემს შვილს ფეხბურთისკენ არ ვუბიძგებ — თვითონ გადაწყვიტოს.

**— და ჯერ რა ეტყობა?**

— 5-6 წლის ასაკიდან ფეხბურთის ფანატი გახდა. ახლა უკვე 9 წლისაა. ვფიქრობ, ყველაფერი გამოუვა — თუ ფეხბურთში არა, სხვა პროფესიაში.

**— დიდი ოჯახი გყავთ?**

— მეუღლე და ორი შვილი. გოგონა მალე 8 წლის გახდება. ისინი ჯერ თბილისში არიან, მაგრამ აუცილებლად ჩავიყვან მოსკოვში.

**— „კრილიაში“ გადასვლისას თქვით, რომ თქვენი შვილები თითქმის ვერ საუბრობენ რუსულად. ახლა?**

— თითქმის კი არა, საერთოდ ვერ საუბრობდნენ. სამარაში ცხოვრებისას მიეჩვივნენ, მაგრამ ისე ვერა, რომ რუსულ სკოლაში იარონ. საბედნიეროდ, მოსკოვში ქართული და გერმანული სკოლები არის. ბიჭმა ავსტრიაში უკვე მოასწრო ერთი წელი სწავლა.

**— ოჯახში ქართულად საუბრობთ?**

— რა თქმა უნდა.

**— ასათიანმა თქვა, რომ შეკრებაზე თავისუფალ დროს კომპიუტერთან ატარებთ. რა ვებგვერდებზე შედიხართ?**

— ვკითხულობ ქართულ გაზეთებს, ვეკონტაქტები მეგობრებს და ოჯახს. კარგია, როცა ტექნიკა ამის საშუალებს გაძლევს. დღეს ჩემმა გოგონამ ვებკამერით თავისი ვარცხნილობა მაჩვენა და მკითხა, უხდებოდა თუ არა. ასე რომ, როდესაც მალხაზი მეუღლეს შეირთავს და შვილები ეყოლება, ისიც აღიარებს ინტერნეტის უპირატესობას.

**— ბოლო შეკრებას „ლოკომოტივი“ ვენის მახლობლად გაივლის. მზად ხართ, თანაგუნდელებს გიდობა გაუწიოთ ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს დედაქალაქში?**

— არა მგონია, ეს მისია მწვრთნელმა მანდოს — მან ჩემზე უკეთ იცის ვენა. მე გრაცში ვიყავი, რომელიც 200 კილომეტრით არის ვენიდან დაშორებული, რაც ავსტრიული საზომით დიდი მანძილია. ვენაში იშვიათად ჩავდიოდი — ვიცი ცენტრალური და რამდენიმე ღირსშესანიშნავი ადგილი — მეტი არა.

**— რახიმოვს „აუსტრიამ“ „კლუბის ლეგენდის“ ნიშანი აჩუქა. თქვენ თუ შეგხვდათ მსგავსი რამ „შტურმში“?**

— როდესაც „შტურმიდან“ წამოვედი, ამისთვის არავის ეცალა, კლუბი გაკოტრების პირას იყო. მოგვიანებით კი გრაციდან მეგობრული შარფი მივიღე.

**— ავსტრიაში სახლი გაქვთ?**

— არა, ქირით ვცხოვრობდი. თბილისში გავიზარდე და დიდ ქალაქებში თავს კომფორტულად ვგრძნობ. გრაცი ლამაზი ქალაქია, თუმც პატარა და მოსაწყენი.

**— კარიერის დასრულების შემდეგ ცხოვრებას სად აპირებთ?**

— საქართველოში. არ არსებობს ქართველი ფეხბურთელი, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნებას არ აპირებდეს.

**— ადრე რუსეთის ვიზის გამო პრობლემები გქონდათ. ახლა როგორ არის საქმე?**

— მაქვს ვიზა, რომელსაც ვადა 30 მარტს უმთავრდება. ამის თაობაზე „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას უკვე ვაცნობე.

**— მამათქვენმა თბილისის „დინამოში“ თამაშისას თასების მფლობელთა თასი მოიგო, თუმც ტრავმებმა გატანჯა. რის მოგებაზე ოცნებობს უმცროსი მუჯირი?**

— ასეთი ხმაურიანი მოგებისთვის დრო აღარ დამრჩა, თუმც სურვილი მაქვს, მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვითამაშო. რაც შეეხება საკლუბო დონეს, მინდა, „ლოკომოტივთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშო.

**— ძალიან განიცდით, „იუვენტუსში“ რომ ვერ გადახვედით?**

— ტურინში მეტი პერსპექტივა მექნებოდა. ისეთ ძლიერ კლუბში, როგორიც „იუვენტუსია“, მოხვედრაც კი ძალიან წამადგებოდა, თუმც კმაყოფილი ვარ იმითაც, რასაც შემდგომში ჩემი შრომით მივაღწიე.

# ყენია ვუნდერკინდების ცვენაში


სოტირის ნინისი

## ქართველი ჭაბუკი მესამეზე გავიდა

**მსოფლიოს** ფეხბურთის ფანთა გაერთიანებამ დაასრულა პლანეტის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოკითხვა.

გეხსომებათ, ამის თაობაზე „სარბიელი“ ადრეც წერდა და ერთი ხანობა, საქართველოს ნაკრებისა და გელზენკირხენის „შალკეს“ 17 წლის შემტევი ლევან ყენია პირველ ადგილზეც იყო, თუმცა საბოლოოდ ხმები ასე გადანაწილდა: პირველზე „პანათინაიკოსის“ ბერძენი სოტირის ნინისი გავიდა (14,29%), მეორეზე — „მილანის“ ბრაზილიელი ალექსანდრე პატო (11,43%), მესამეზე კი — ყენია, ბარსელონელი ბოიან კრკიჩი, არსენალელი თეო უოლკოტი და „მეცის“ ბოსნიელი მირალემ პიანიჩი (8,57%).

**ჭაბა შალამბერიძე**


ალექსანდრე პატო


ბოიან კრკიჩი



თეო უოლკოტი



მირალემ პიანიჩი


ლევან ყენია

## ასათიანი მალე დაიწყებს

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი მომდევნო შეკრებაზე შეძლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს.

გეხსომებათ, ასათიანი ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში დაშავდა და მას შემდეგ ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

**ქახა ზალამბერიძე**

## დაჩია და ისევ ერთი ქართველი

მოლდოვის „დაჩიამ“ მორიგი მატჩი მოიგო თურქულ შეკრებაზე — ამჯერად ავსტრიულ „კერნტენს“ 4:2 სძლია და დაჩიელთაგან მხოლოდ ერთმა ქართველმა, ჯაბა დვალმა ითამაშა.

ამ გუნდში ლევან კორღალიძე, დიმიტრი პარამონოვი და ირაკლი კოხრეიძეც იყვნენ გასინჯვაზე, მათგან ბოლო დრომდე მხოლოდ კორღალიძე დაიტოვეს მოლდოველებმა, თუმცა რატომ არ ითამაშა „კერნტენთან“, ვერ გეტყვით.

დვალმა ავსტრალიელებთან პენალტი გამოიმუშავა, გოლი და საგოლე პასი კი არ გაუხერხებია.

და ერთიც: ამბობენ, „დაჩიას“ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვსო, თუმცა ოფიციალურად ამას არავინ ადასტურებს.

**ილია ნანობაშვილი**

## ჩანგელია ობოლონის ძირითადია

ერთ დროს თბილისის „ამერში“ ნამყოფი მეკარე ვლადისლავ ჩანგელია კიევის „ობოლონშია“. ეს გუნდი უკრაინის პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერია და საინტერესოა, რომ ჩანგელია მთავარი მეკარეა.

ჩანგელია ცოტა ხანს იყო „ამერში“, თუმცა კონტრაქტის გაფორმებამდე საქმე არ მისულა და არც ოფიციალური მატჩი უთამაშია „ყვითლებში“.

**ილია ნანობაშვილი**

## შახტიორმა სამარყანდა მოიგელა

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ყარაგანდის „შახტიორმა“ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა. რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილი გუნდი სამარყანდის „დინამოს“ გაეჯიბრა და 3:1 დაამარცხა.

„შახტიორის“ ქართველმა ლეგიონერები, ლაშა ნოზაძე და გიორგი მელქაძე ძირითად შემადგენლობაში იყვნენ.

ძოძუაშვილმა მელქაძე პირველი ნახევრის შემდეგ შეცვალა, ხოლო ნოზაძე 71-ე წუთზე.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ქართველებს არც ერთ გოლში წვლილი არ მიუძღვით.

23 თებერვალს „შახტიორი“ სანკტ პეტერბურგის „აკადემიასთან“ გამართავს ამხანაგურ მატჩს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# საბჭოთა სივრცეში დაკარგული ფილმი

**თბილისის** „დინამომ“ უმაღლესი საკავშირო შეჯიბრის პირველივე ეტაპზე სათასო გათამაშებაშიც გამოიჩინა თავი. 1936 წელსვე, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის საკლუბო ჩემპიონატი და თასის გათამაშება დაიწყო, ქართული გუნდი პირველი ფინალისტი იყო მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთად (0:2); მომდევნო წელსაც ფინალში გავიდა (1937. 2:5 მოსკოვის „დინამოსთან“).

თასის გათამაშება მეორე მსოფლიო ომის დროსვე განახლდა (1944 წელს ლენინგრადის „ზენიტმა“ იმარჯვა). იმ და მომდევნო წელსაც „დინამოს“ წარმატება არ ჰქონია, მაგრამ 1946-ში კი მესამედ გავიდა ფინალში — თან უაღრესად დაძაბული, დრამატული და, რაც მთავარია, ნამდვილად გამორჩეულ დონეზე ჩატარებული ჩემპიონატის შემდეგ (გადამწყვეტ მატჩში ბოლო წამებზე გაუშვეს გოლი მოსკოვის „ტორპედოსგან“ — 3:4. არადა, ფრეც ჰყოფნიდათ, რომ გაესწროთ მოსკოვის „დინამოსთვის“, რომელმაც ბურთების უკეთესი შეფარდებით დაიკავა მეორე ადგილი).

ა, ასეთი სეზონის დასასრულს კვლავ მოსკოვში დაიწყო სათასო მატჩები. მინსკის „დინამოსთან“ გაწელილი დუელის შემდეგ (პირველი შეხვედრა 0:0, მეორე დღეს — 2:0), თბილისელებმა მიჯრით დაამარცხეს მოსკოვის „დინამო“ და „ტორპედო“ (2:1) და ამით ჩემპიონატის მეორე წრეში მათთან დამარცხებისთვის რევანშიც აიღეს (პირველ წრეში „დინამომ“ თბილისში ორივეს მოუგო).

ამ თამაშების გახსენება ნამდვილად ღირს თავად მაშინდელი რუსული პრესის მოშველიებით, რადგან მცირე საგაზეთო წერილებიც კარგად ასახავენ იმ დროის საფეხბურთო იდეებს, ცალკეული სპორტსმენის სტილსა და სიძლიერეს.

12 ოქტომბრის „კომსომოლსკაია პრავდა“ ზუსტად აღწერს მოსკოვის დინამოელთა კარში გატანილ ბურთებს: პირველ ტაიმში ბორის პაიჭაძე მკაცრი და გაძლიერებული ზედამხედველობის მიუხედავად, ლამაზი და ზუსტი დარტყმით ხსნის ანგარიშს. მეორე ტაიმში კვლავ პაიჭაძემ დრიბლინგით გადაკვეთა ნახევარი მოედანი და მოსკოველებს ისღა დარჩენოდათ, საჯარიმოს ხაზთან უბოდიშოდ მოეცელათო. პაიჭაძეს თავადვე ჩაუწოდებია და 2:0 ბერეჟნოის გოლით. 26 ოქტომბრის გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ვრცელ მიმოხილვაში ვ. დუბინინი შეცდომად მიიჩნევს პაიჭაძის პერსონალურ მეურვედ უძლიერესი ნახევარმცველის ბლინკოვის დაყენებას. ამით მოსკოველთა გუნდის აწყობილი კავშირები დაირღვა და თანაც დაცვაც ვერ გაამაგრაო. თბილისელთა ლიდერი ბლინკოვსაც და კაპიტან სემიჩასტნისაც გაექცა და ანგარიში გახსნაო. მეორე ტაიმში მიხაილ იაკუშინს შეუცვლია დაცვის გეგმა, მაგრამ ამჯერად ვერც მოსკოველთა კაპიტანმა შეძლო მისი შეჩერება.

მაგრამ იგივე ავტორი იმავ სტატიაში უკვე „ტორპედოს“ შეცდომად ალიქვამს, რომ ნახევარფინალურ მატჩში მწვრთნელებმა მკაცრი ზონური პრინციპი აირჩიეს; ამიტომაც პაიჭაძე თავისუფლად დათარეშობდა მოედანზე, თბილისელთა დაწყობილმა დაცვამ კი მოსკოველთა თავდასხმის ლიდერი პონომარიოვი შებოჭაო.

გაზეთ „ტრუდის“ (12.X, 16.X) ცნობილი სპორტული მიმომხილველი ი. ვანიატი აღტაცებულია ამ მატჩებში თბილისელთა თავდასხმისა და მისი ლიდერის თამაშით და ისევე, როგორც „სოვეტსკი სპორტის“ (19.X) ავტორი პ. ისაკოვი, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ტორპედოს“ მარჯვენა გარემარბის პანფილოვის გამეტებული, უხეში შეჯახების შედეგად მოედნიდან ხელით გაუტანიათ დინამოელთა გამოცდილი მეკარე სერგო შუდრა.

ფინალური შეხვედრა 20 ოქტომბერს გაიმართა. თბილისელებთან შედარებით „სპარტაკს“ ნაკლებსახელოვანი მოწინააღმდეგეები შეხვედრია ძნელ გზაზე. ამ თამაშზე ბევრი დაწერილა...

ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ „დინამოს“ შემადგენლობის დასახელება — *გ. იოსელიანი; დ. ფეხლევანიდი, უ. სალდაძე, ა. კიკნაძე, ი. ხარჯველაძე, გ. გაგუა; გ. ანთაძე, ა. ლოლობერიძე, ბ. პაიჭაძე, ვ. ბერეჟნოი, ვ. პანიუკოვი (ა. ხარბედია).*

თბილისში ეს თამაში რადიორეპორტაჟით ეროსი მანჯგალაძემ გადმოსცა. პირველი ტაიმი 2:2 დამთავრდა, მეორეში კი დინამოელები უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

„სპარტაკმა“ დამატებით ტაიმში გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

ბუნებრივია, მოსკოველი გულშემატკივრები გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ „კომსომოლსკაია პრავდის“ (22.X) ავტორი ბ. ლასკინი წერს, რომ მათ მართებდათ, უფრო ობიექტურები ყოფილიყვნენ „დინამოს“ მიმართ, რადგანაც ასეთი დამოკიდებულება თბილისელებმა ტექნიკური, ძლიერი, კორექტული თამაშის გამო დაიმსახურესო.

ისე, ახლაც გუშინდელივით მახსოვს, რა გამაყრუებელი ყიჟინა გვესმოდა რადიოში მატჩის პირველიდან ბოლო წუთამდე...

თუმცა „ტრუდში“ (22.X) ი. ვანიატის ინფორმაციის გვერდითვე დაბეჭდილია პ. პეტროვის რეპლიკა, რომელშიც ავტორი პირდაპირ ადანაშაულებს რადიოკომენტატორ ვ. სინიავსკის. განსაკუთრებით აღშფოთებულია შემაჯამებელი ფრაზით: Нам с вами ничего не остается, как присуствовать при вручении кубка команде “Спартака”.

რას ნიშნავს ეს? რატომ მიაწოდეს მსმენელს კარგად მოთამაშე, შესანიშნავი ნებელობითი თვისებების გამომჩენი „სპარტაკის“ გამარჯვება შემთხვევით ამბად? — კითხულობს პეტროვი.

ახლა ნამდვილად ძნელია, მით უმეტეს, ჩვენთვის, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩვენ, როგორც ზევით ვთქვით, ქართველ კომენტატორს ვუსმენდით და არ გვიგრძვნია ცალმხრივობა და მიკერძოება. თბილისელთა მწვრთნელ ანდრო ჟორდანიას და კაპიტნის მოკლე ინტერვიუებიც დაიბეჭდა; შემდეგაც მოგვისმენია, უფრო არაოფიციალურ ვითარებაში მათი მონათხრობი. ისინი გულითადად ულოცავდნენ „სპარტაკს“ გამარჯვებას, ხოლო თავიანთი დამარცხების გასამართლებლად თითქოს არ მიუმართავთ ასეთი ღიმილისმომგვრელი არგუმენტისთვის: „რა ვქნათ, არა და არ გავიდა იმ დღეს ბურთი“...

მაინც ჩაგვითრია საფეხბურთო სჯამ. არადა, ეს წერილი ერთმა კონკრეტულმა ცნობამ დაგვაწერინა: ვ. დუბინინის მიმოხილვის გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთი თვის სწორზე იმავ „სოვეტსკი სპორტში“ დაბეჭდილია მ. ზასლავსკის წერილი „ფილმი თასის ფინალზე“. ძველ ქომაგებს ალბათ გახსოვთ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის კინოთეატრებში რომელიმე მხატვრული ფილმის დემონსტრირებას უძღოდა ეგრეთ წოდებული კინოჟურნალები. ეს იყო პერიოდული კინოგამოშვება, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ქვეყნის ცხოვრების თაობაზე. ამასთან ერთად, არსებობდა თემატური კინოჟურნალიც — „საბჭოთა სპორტი“, რომელიც მთლიანად სპორტსა და ფიზიკურ კულტურას ეძღვნებოდა.

ა, ასეთი კინოჟურნალი, თანაც ორი გაერთიანებული გამოშვება (N 12-13) გამოსულა იმ დღეებში მოსკოვის ეკრანებზე. ეს ფილმი, რომელსაც დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის 15 ოპერატორი იღებდაო (რეჟისორი — იაკობ პოსელსკი) მთლიანად ზემოხსენებულ მატჩს ეძღვნება. სხვათა შორის, ვ. სინიავსკის მიმართ შენიშვნა (ალბათ სამართლიანიც) აქაც გამოუთქვამთ — კომენტატორად ამ კინოჟურნალშიც იგი ყოფილა და რამდენად გამართლებული იყო კინომიმოხილვაში რადიოგადაცემის სტილის გამოყენებაო...

მაგრამ ახლა ჩვენთვის ეს არ არის არსებითი. მოსკოვის ეკრანებზე გამოშვებული ფილმი მერე მთელ ქვეყანას მოივლიდა. არადა, 40-იანი წლები ნამდვილად კინოჩვენების ბუმი იყო (ომის შემდეგ კინოგრაქირავება ავსებული იყო ეგრეთ წოდებული „ნადავლი ფილმებით“, მათ ჩვენებასაც „ჟურნალები“ უძღოდა). დავიჯერო, ასეთი მნიშვნელოვანი თამაშის ამსახველი სურათი გამორჩათ საქართველოში? რამდენადაც ვიცი, იგი არც შემდგომი დროის საფეხბურთო მემორიალურ ფილმებში გამოუყენებიათ. არადა, ცხადია, სადღაც იქნება შენახული (დაუმატეთ, რომ ის 15 ოპერატორი ალბათ ბევრად მეტ მასალას გადაიღებდა; თუმცა ახლა სადღა ვნახავთ).

ეგებ სათანადო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა (საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას, სხვადასხვა ტელეარხსა და ა. შ.) მოახერხონ ჩვენი სპორტის ისტორიისთვის ამ საგულისხმო ფილმის მოძიება.

ისიც არ ვიცით, როგორ აისახა 120-წუთიანი მატჩი თუნდაც ორი მოცულობის სპორტულ ქრონიკაში (როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ — „ვაი დამარცხებულთ!“). მაგრამ, ვიმეორებ, ეს ფილმი უაღრესად საინტერესო იქნება — წმინდად საფეხბურთო წარსულის თვალსაზრისითაც და გულშემატკივრული ხედვითაც.

**ნოდარ ებრალიძე**



ქართული ფეხბურთის ლეგენდა ბორის პაიჭაძე



# ფხვნილი პაკეტში
## ორიოდ სიტყვა მილიარდერებზე



რომან აბრამოვიჩი

„ჩელსის“ თავკაცს, 52 წლის ავრაამ გრანტსა და მის მეუღლეს, 43 წლის ცოფიტს საგანგებო დაცვა დაუნიშნეს. მიზეზი: გრანტებმა რაღაც პაკეტი მიიღეს, რომელშიც საეჭვო და, ალბათ, საშიში ფხვნილი ეყარა. პაკეტს თან სასიკვდილო მუქარაც მოსდევდა...



ოლეგ დერიპასკა



ცოფიტ და ავრაამ გრანტები

**ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ**, რომ ავრაამ გრანტმა პაკეტი „ჩელსის“ საწვრთნელი ცენტრის მისამართზე მიიღო. პაკეტის მიღებისთანავე, ლონდონელი „ლურჯების“ თავკაცმა შესაბამისი სამსახური გააფრთხილა.

შეგახსენებთ, რომ პაკეტში ეყარა ფხვნილი და ეწერა, თითქოს ის მომწამვლელ ნივთიერებას შეიცავდა. შესაბამისად, ფეხბურთის კლუბის ოფისში დაუყოვნებლივ მივიდნენ პოლიციელები, მეხანძრეები და მედიკოსები სასწრაფო დახმარებიდან. ცენტრი ალყაშემორტყმულ ობიექტს დაემსგავსა, საიდანაც პერსონალი გაიყვანეს და სპეციალისტებმა ფხვნილის ქიმიური ანალიზი ჩაატარეს.

გრანტებთან გაგზავნილ წერილში ანტისემიტური ლანძღვა-გინება ეწერა: „თქვენ ზურგში დანის ჩამცემი ნაბიჭვრები ხართ. როგორც კი ამ წერილს გახსნით, ნელი და საშინელი სიკვდილი აღარ აგცდებათ“.

იყო მეორე წერილიც, რომელშიც ჯერჯერობით უცნობი ბოროტმოქმედი ქალბატონი გრანტის გაუპატიურებასა და მერე მოკვლას იმუქრებოდა.

ცნობისთვის: მისტერ და მისის გრანტები ორი შვილის მშობლები გახლავან.

როგორც პოლიციელთათვის გახდა ცნობილი, ავრაამ გრანტის წინააღმდეგ ანტისემიტური აგრესია მას მერე წამოვიდა, რაც მან „გაბედა“ და „ჩელსის“ ქომაგების საყვარელი მწვრთნელი, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ შეცვალა თანამდებობაზე. ლონდონელ ფანებს შორის გავრცელებულია ვერსია, თითქოს მაურინიუს შეცვლა კლუბის მეპატრონის, რომან აბრამოვიჩის კი არა, მისი ახლო მეგობრის, გრანტის მზაკვრული იდეა გახლდათ.

„კლუბის თანამშრომელთა შორის პანიკამ დაისადგურა — უთხრა ინგლისელ ჟურნალისტებს „ჩელსის“ საქმეებში შიგნიდან ჩახედულმა მავანმა ადამიანმა — საბედნიეროდ, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ფხვნილი, რომელიც გრანტის სახელზე გაგზავნილ კონვერტში ეყარა, უვნებელი იყო. თავიდან ავრაამი უბრალო ლანძღვას ისმენდა და ითმენდა, მაგრამ ახლა, ეს უკვე მეტისმეტში გადაიზარდა. კონვერტში ფხვნილის ჩაყრა ისეთი რამ არის, რასაც უყურადღებოდ ვერ დატოვებ. ბატონი და ქალბატონი გრანტების უსაფრთხოებისთვის საგანგებო ზომების მიღებაა საჭირო.“

ამასობაში კი, „ლურჯების“ მეპატრონე, ჩუკოტკის გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი რუსეთის უმდიდრესი ადამიანი აღარ ბრძანდება. მას მეტალურგიის „ბარონმა“ ოლეგ დერიპასკამ გაასწრო. 41 წლის აბრამოვიჩის ქონება ოფიციალურად 12 მილიარდი გირვანქით ანუ 23,41 მილიარდი დოლარით იზომება, ხოლო დერიპასკასი 8 მილიარდი გირვანქით ანუ 15,6 მილიარდით მეტია.

ბატონი ოლეგ დერიპასკა 40 წლისა გახლავთ და ბოლო დროს გვარიან წარმატებებს მიაღწია.

ცნობისთვის: რუსეთში 101 ოფიციალური მილიარდერია. ამ მაჩვენებლით ეს ქვეყანა მხოლოდ 415 მილიარდერის პატრონ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

# დააბიჯეთ არსენალს!



**ᲐᲚᲔᲥᲡ ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲛᲐ** „არსენალი“ ბინძურ თამაშში დაადანაშაულა და დაამატა, მსაჯი ალან უაილიც საძაგლად მოიქცა, რომ არ დასაჯაო — „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფი შაბათს, ლონდონელ „მეთოფეებთან“ 4:0 მოგებული შეხვედრის სხვადასხვა ეპიზოდებს იხსენებს, რაც, მისი მხრიდან, როგორც ჩანს, „მეთოფეთა“ „მაზოლზე“ ფეხის დაჭერის ელემენტსაც მოიცავს.

„რატომ არის „არსენალისთვის“ ერთი წესი, დანარჩენი გუნდებისთვის კი სხვა? მაგალითად, უაილიმ უილიამ გალასის მხრიდან ნანის წინააღმდეგ უხეშობაზე თვალი დახუჭა, ხოლო შემდეგ, როდესაც იმ ეპიზოდის ვიდეოზე ნახვა შევთავაზეთ, უარი თქვა. ნანის წინააღმდეგ იმ შეხვედრაში ხშირად უხეშობდნენ“.

ამის შემდეგ ფერგიუსონმა გალასსაც გაკრა კლანჭი: „ამ ფეხბურთელზე საერთოდ არაფერს ვიტყვი, რადგან მისგან ასეთ უხეშობებს იმთავითვე ველოდით და ამაში ჩვენთვის გასაკვირი არაფერი ყოფილა. ვფიქრობ, ალან უაილიმ ამიერიდან მისი გვარი მარკერით უნდა გახაზოს.

საერთოდაც, მსაჯს იმ შეხვედრაში სამი ან ოთხი წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში იყო რთული თამაში, ძალიან ბევრი რამ მოხდა“.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

# ალამი ალანს!

**„ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘᲡᲐ“** და ინგლისის ნაკრების ლეგენდარულ თავდამსხმელს, ალან შირერს სთხოვეს, 250 მილიონ გირვანქად შეფასებულ წინადადებას სათავეში ჩაუდგეს და „კაჭკაჭთა“ საფეხბურთო კლუბი მისი დღევანდელი პატრონებისგან ამ ფულით გამოისყიდოს.

„ნიუკასლის“ დღევანდელი მეპატრონე მილიარდერი მაიკ ეშლი გახლავთ, შირერს კი ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოღვაწე ბიზნესმენთა ჯგუფმა შესთავაზა ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ.

„კაჭკაჭთა“ ყოფილმა გოლეადორმა წინადადებას ჩამთრევი უწოდა, ჯორდილენდის მავანმა, საქმეში გარკვეულმა პირმა კი ჟურნალისტებს ასეთი რამ მოუთხრო:

„ალანს იმ ხალხმა მიმართა, ვისაც კლუბის გამოსყიდვა სურს. ეს ადამიანები ნიუკასლის რეგიონიდან არიან და ზოგიერთ მათგანს შირერი პირადად იცნობს. სხვათა შორის, ის დარწმუნებულია, რომ ამ ხალხს აქვს საკმარისი სახსრები, რათა ეშლის მოსაწონი წინადადებით მიმართონ. მერედა, ხსენებულ ბიზნესმენებს მისგან ფული კი არა, სახელი, კეთილგანწყობა, მწვანე შუქი სჭირდებათ. ეს კაცი ხომ „კაჭკაჭთა“ ცოცხალი ლეგენდაა და




დირექტორთა საბჭოში მისი ყოლა, თუნდაც უბრალოდ, სარეკლამო სახის სტატუსით, დიდი საქმე იქნებოდა. და, რა თქმა უნდა, ალანის სახელის გაგონებაზე პროექტს მიესალმებიან „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფანები, რომელთაც შირერი დღესაც უყვართ. ერთი სიტყვით, წინადადება მართლაც მომხიბლავია, მაგრამ შირერი აჩქარებას არ აპირებს. სანამ პასუხს გასცემს, მას დაფიქრება და ყველაფრის აწონდაწონვა სჭირდება“.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### მერვედფინალი. პირველი მატჩები

# რომაული სამართალი

**რომა 2:1 რეალი**
**0:1 რაული (8), 1:1 პიზარო (24), 2:1 მანსინი (58)**
**რომა: დონი, პანუჩი (ტონეტო 67), მექსეში, ჟუანი (ფერარი 77), კასეტი, დე როსი, პიზარო (აკვილანი 62), ჟული, პეროტა, მანსინი, ტოტი**
**მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი**
**რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მ. ტორესი, გუტი, მ. დიარა (დრენტე 79), გაგო, რობენი (ბაპტისტა 79), რაული, ვან ნისტელროი**
**მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი**
**გაფრთხილება: დიარა, დე როსი, ტორესი, პეროტა, რამოსი, კასეტი**
**მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)**
**50 000 მაყურებელი**

**ტყუილად** არ ამბობდა მატჩამდე „რეალის" მწვრთნელი ბერნდ შუსტერი, ფრანჩესკო ტოტის გარდა, ყველაზე მეტად ამანტინო მანსინის მეშინიაო.

24-ე წუთზე სწორედ ბრაზილიელის კროსს მოჰყვა დავიდ პიზაროს გოლი. ჩილელს კი მიზნის მიღწევაში რიკოშეტიც დაეხმარა.

58-ე წუთზე კი ფრანჩესკო ტოტიმ საჰაერო ბრძოლა მოუგო გაბრიელ ჰაინცეს, მერე გასცდა არგენტინელს და ბრწყინვალე პასი გაუკეთა მანსინის, ბრაზილიელიც გასცდა იკერ კასილიასს და მშვენივრად დაარტყა.

ამ პასის გარდა ტოტის ღირსშესანიშნავი არაფერი გაუკეთებია,


რომაული მატჩის გმირი — ამანტინო მანსინი

მაგრამ ეს მისი 65-ე მატჩი იყო ევროსარბიელზე. ამ მხრივ „ერ პუპონემ" ალდაირის რეკორდი მოხსნა.

„ჩვენ კარგად ვიცით, რა მაღალი კლასისაა „რეალი" და სწორედ ამიტომ ვითამაშეთ ზედმეტი სიფრთხილით. მწვრთნელის დავალებები თითქმის უნაკლოდ შევასრულეთ და მოვიგეთ კიდეც. გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ მადრიდში ჩვენ ფრეც გვეყოფა და ეს კარგია. ყველანაირად ვეცდებით, ჩემპიონთა ლიგაში წინა წლებში დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ და სასურველ შედეგს მივაღწიოთ" — განაცხადა მანსინიმ.

არადა, „რეალი" მე-8 წუთზე დაწინაურდა — გუტის დარტყმულს რაულმა მიმართულება შეუცვალა და ალეშანდერ დონი სრულიად უძლური გახლდათ. მთლიანობაშიც მადრიდელები უკეთ გამოიყურებოდნენ და წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ.

„სამეფო გუნდის" არაერთი მწვავე მომენტიდან რუუდ ვან ნისტელროის დარტყმა უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც ძელმა აისხლიტა.

„დღეს ჩემმა გუნდმა ვაჟკაცობა და ჭკუა გამოაჩინა. დასაწყისში გაშვებული გოლის მიუხედავად, ჩინებულად ვითამაშეთ და საბოლოოდ სამართლიანად მოვიგეთ კიდეც. თუმცა ისიც გვესმის, რომ „რეალი" უმაღლესი კლასის გუნდია და ნებისმიერ მომენტში შეეძლო გოლის გატანა. ჯერ საზეიმო არაფერია, „სანტიაგო ბერნაბეუზე" მძიმე ბრძოლა გველის" — აღნიშნა „გლადიატორთა" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

ბერნდ შუსტერი: „შედეგით, ცხადია, უკმაყოფილო ვარ, რადგან კარგად ვითამაშეთ და მაინც წავაგეთ. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გასვლაზე გოლის გატანა შევძელით, ახლა საკუთარი ქომაგების თვალწინ სასურველი ანგარიშის მიღწევის კარგი შანსი გვაქვს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სტუმრად სხვანაირად უნდა ვითამაშოთ ხოლმე, რადგან ბოლო პერიოდში საგარეო თამაშებს ძალიან ცუდად ვატარებთ, კასილიასი კი ყოველთვის ვერ გვიხსნის. „რომამ" ზუსტად ისე ითამაშა, როგორც ველოდი, იტალიელებს ჩვენგან განსხვავებული ხედვა აქვთ, მაგრამ მეტოქეს პატივი უნდა ვცეთ. მით უმეტეს, რომ მათ ცოტა მომენტების შექმნითაც კი შეძლეს მოგება, ჩვენ კი საკუთარი შანსები ვერ გამოვიყენეთ. სამწუხაროა, რომ სერხიო რამოსი საპასუხო შეხვედრისთვის დისკვალიფიცირებულია, მაგრამ მჯერა, ვინც მის ნაცვლად ითამაშებს, ამოცანას საუკეთესოდ შეასრულებს. დაცვაში უდანაკლისოდ მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთხელ, „ბარსელონასთან" ვითამაშეთ და კარიც მშრალად შევინახეთ".

„სამწუხაროა, რომ წავაგეთ, ამას არ ვიმსახურებდით. რუუდ ვან ნისტელროიმ ძელს გაარტყა ბურთი, ჩვეულებრივ ასეთ მომენტებს არ აცუდებს ხოლმე. როისტონ დრენტეს წაქცევისთვის კი პენალტი არ დაგვინიშნეს. ამის გარდა კიდევ ბევრი მომენტი გვქონდა, „რომამ" კი რაც შექმნა, გამოიყენა. რობინიოს არყოფნა მნიშვნელოვანი იყო. იგი ძალიან საჭირო მოთამაშეა და მეტოქისთვის ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია. მჯერა, საპასუხო შეხვედრაში რობინიო იქნება, მთლიანობაში კარგად ვითამაშებთ და შემდეგ ეტაპზე გავალთ" — განაცხადა „რეალის" იტალიელმა მცველმა ფაბიო კანავარომ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ხუმრობა ზღაპარში

**შალკე 1:0 პორტუ**
**1:0 კურანი (4)**
**შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ერნსტი, რაკიტიჩი (გროსმიულერი 76), ქობიაშვილი, ასამოა (ალტინტოპი 80), კურანი (სანჩესი 89)**
**მწვრთნელი: მირკო სლომკა**
**პორტუ: ელტონი, ჟოაუ პაულუ, პ. ემანუელი, ბ. ალვეში, ფუსილე (მ. გონსალესი 85), ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მეირელეში, ლ. ლოპესი, კვარესმა, ფარიასი (სეკტიუი 56)**
**მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა**
**გაფრთხილება: ჯონსი, ერნსტი, გროსმიულერი**
**მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)**
**53 000 მაყურებელი**

**„შალკეს"** მწვრთნელი მირკო სლომკა „პორტუსთან" გამარჯვებით იმდენად გახარებული იყო, რომ შედეგს ზღაპრული უწოდა.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში პირველად გასულმა „შალკემ" „პორტუ" დაამარცხა და მეოთხედფინალისკენ ნაბიჯი გადადგა. კევინ კურანიმ მეოთხე წუთზე მეკარის მოგერიებულს დაამატა და მისმა გოლმა გელზენკირხენელები გაახარა. „ეს ზღაპრული გამარჯვებაა — თქვა სლომკამ — პირველ ტაიმში არაერთხელ შეგვეძლო სხვაობის ორამდე გაზრდა. მეორე ნახევარში „პორტუმ" ბევრად უკეთ ითამაშა, პრობლემები შეგვიქმნა და დაცვაში გამოგვამწყვდია. მიუხედავად ამისა, შედეგით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით ის მახარებს, რომ გოლი არ გავუშვით".

„შალკეს" ფორვარდი ჯერალდ ასამოა: „ძალიან მძიმე მატჩი იყო. „პორტუ" სუსტი მეტოქე არაა და 1:0 ჩვენთვის სასიხარულო შედეგია. მნიშვნელოვანია, რომ საპასუხო მატჩის წინ ერთბურთიანი უპირატესობა გვაქვს".

ისევ მირკო სლომკა: „როგორც ველოდი, უმძიმესი თამაში გამოვიდა. კარგად დავიწყეთ და კევინ კურანიმ საუცხოო კომბინაციის შედეგად გაიტანა. ვაღიარებ, რომ ზოგიერთ მომენტში აშკარად გაგვიმართლა, მაგრამ საპასუხო შეხვედრისთვის ეს შედეგი შანსს გვიტოვებს. აქვე შეგიძლია გითხრათ, რომ სტუმრად რთული მატჩი გველის, რადგან ვიცით, რომ „პორტუ" შინ საუცხოოდ თამაშობს. მოკლედ, ამოცანა იოლი არაა, თუმც ჩვენ კარგი კონტრშეტევები გვეხერხება და ეს უნდა გამოვიყენოთ. რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, შესვენებამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მეორე ტაიმში კი ჩემს გუნდს ნერვიულობა დაეტყო. დარწმუნებული ვარ, „შალკეს" უკეთესად თამაშიც შეეძლო. მაგალითად, სტანდარტული მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ეს მაღელვებს".

„პორტუს" მწვრთნელი ჟესუალდო ფერეირა ფეხბურთელებს აფრთხილებდა, 2004 წელი დაივიწყეთო. 2004-ში „პორტუმ" ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მონაკო" გელზენკირხენის „აუფ შალკეზე" დაამარცხა. პორტუგალიელებს ძველმა დიდებამ ვერ უშველა, ფერეირამ კი


„შალკეს" გამარჯვება კევინ კურანის ადრეულმა გოლმა მოუტანა

განაცხადა: „ვერ ვიტყვი, რომ კარგ მდგომარეობაში ვართ. გუნდის განწყობაზე სწრაფმა გოლმა იმოქმედა, რომლის შემდეგაც წნეხის ქვეშ მოვყევით. პირველ ტაიმს აქტივში ვერნაირად ვერ მივითვლით, შესვენების შემდეგ კი ჩემი დავალება ბიჭებმა ვერ შეასრულეს. მარცხის მიუხედავად, საპასუხო შეხვედრას ოპტიმიზმით ველით. უარეს ვითარებაშიც ვყოფილვართ. დღეს აზარტი და აგრესია გვაკლდა, განსაკუთრებით შეტევაში. გადამწყვეტ მომენტში „პორტუს" აშკარად რაღაც არ ჰყოფნიდა. საერთოდ ასეთი შეცდომები არ გვახასიათებს. კურანის გოლის გამო პირველივე ტაიმში ტაქტიკის გადაწყობა მომიხდა და ისიც კარგია, რომ მეორე არ გავუშვით".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მერვედფინალი. პირველი მატჩები



მასკერანო ორი ინტერელის გარემოცვაში

# უსუსური ინტერი

**ლივერპული 2:0 ინტერი**

**1:0 კუიტი (85), 2:0 ჯერარდი (90)**
**ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, აურელიო, ჯერარდი, მასკერანო, ლეივა (კრაუჩი 64), ბაბელი (პენანტი 72), კუიტი, ფ. ტორესი**
**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტეხი**
**ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა (ბურდისო 76), მატერაცი, კივუ, ძანეტი, სტანკოვიჩი, კამბიასო, მაქსველი, კრუზი (ვიეირა 55), იბრაჰიმოვიჩი**
**მწვრთნელი: რობერტო მანჩინი**
**გაფრთხილება: კივუ, მატერაცი, მატერაცი**
**გაძევება: მატერაცი (30)**
**მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)**
**43 000 მაყურებელი**

**დაახლოებით** 43 ათასი ქომაგის მხარდაჭერით ფრთაშესხმული „ლივერპული" თავიდანვე ეძგერა „ინტერს" და მილანელები ისე დააბნია, რომ ისინი ბოლო წამებამდე თავბრუდახვეულებს ჰგავდნენ. მათ ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ და შეტევაზე არც უფიქრიათ.

სტუმრები ბელგიელმა მსაჯმა ფრანკ დე ბლეკერემ გაწირა, როცა 30-ე წუთზე მარკო მატერაცი გაუგდო. „მატრიცას" ორივე ყვითელი ბარათი ფერნანდო ტორესმა მიაღებინა. პირველ ეპიზოდში იტალიელს საერთოდ არაფერი დაუშავებია და არც მეორე მომენტში მომხდარა რამე განსაკუთრებული. თუმცა არბიტრმა მილანელთა სასარგებლოდაც დაუშვა რამდენიმე უხეში შეცდომა.

ბურთის ფლობის მხრივ, „ლივერპულს" კოლოსალური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მწვავე იერიშების მიუხედავად, აშკარა საგოლე მომენტი პირველ ტაიმში მასპინძლებს არ შეუქმნია.

რობერტო მანჩინიმ 55-ე წუთზე დაცვის გაძლიერება ხულიო რიკარდო კრუზის პატრიკ ვიეირათი შეცვლით სცადა, მაგრამ ფრანგი საშინლად ჩაერთო თამაშში.

ვიეირას შეცდომას მოჰყვა ტორესის ჟულიო სეზართან პირისპირ გასვლა, მაგრამ ბრაზილიელმა მეკარემ იყოჩაღა. მერე ფრანგმა სულელურად აიფარა ხელი და, შესაძლოა, ბურთი უნებლიეთ მოხვდა, მაგრამ დე ბლეკერეს თავისუფლად შეეძლო პენალტის დანიშვნა.

ვიეირას შეცდომებისა და მერსისაიდელთა მომენტების აღწერა შორს წაგვიყვანს, ამიტომ პირდაპირ 85-ე წუთზე გადავერთოთ, როცა „ენფილდის" ბინადრებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს საწადელს. ჯერმეინ პენანტის კროსი რამდენიმე ფეხბურთელს ასცდა, ბურთი დირკ კუიტმა მიიღო და მძლავრად დაარტყა, ბურთი ჯერ დუგლას მაიკონს შეეხო, რომელიც ინტერელთაგან საუკეთესო იყო, მერე კი მიწაზე დაეცა და ჩამუხლულ ჟულიო სეზარს თავზე გადაუარა.

90-ე წუთზე „ინტერი" ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდა — ბილიარდის მაგიდაზე ოსტატი ბურთს რომ გააგორებს ხოლმე, სტივენ ჯერარდმა შორიდან ზუსტად ასე დაარტყა, რამდენიმე ინტერელის ვარდნა ფუჭი გამოდგა და 2:0.

„ვფიქრობ, ორივე ეპიზოდში მატერაცის დანაშაული აშკარა გახლდათ და მსაჯი სწორად მოიქცა, რომ გააძევა. დღეს, ფაქტობრივად, ყველაფერი კარგად გავაკეთეთ და დამსახურებულად მოვუგეთ გუნდს, რომელიც დაცვაშიც მძლავრია და თავდასხმაშიც. ჩემპიონთა ლიგა ჩემთვისაც და მთელი გუნდისთვისაც მთავარი ტურნირია და იმედია, შემდეგ ეტაპზე გავალთ, მაგრამ „სან სიროზე" მძიმე ბრძოლა გველის" — თქვა „ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

რობერტო მანჩინი: „მეათე წუთზე უკვე შეშინებული ვიყავი, რადგან ორივე ცენტრალური მცველი — კრისტიან კივუ და მარკო მატერაცი — გაფრთხილებული მყავდა. „ლივერპულს" ბევრი საგოლე მომენტი არ ჰქონია, მაგრამ მთელი მატჩი გვაიწროებდა და, სამწუხაროდ, ბოლო 5 წუთში ვეღარ გავძელით. საპასუხო მატჩში ვეცდებით, იგივე შეცდომები აღარ დავუშვათ და სასურველი ანგარიშით გავიმარჯვოთ. მთავარია, ტრავმებმა არ შეგვიშალოს ხელი".

იტალიური პრესის ცნობით, ამ მარცხის მერე „ინტერში" სერიოზული არეულობაა. „ტუტოსპორტი" იუწყება, რომ ლივერპულის აეროპორტში რამდენიმე გაბრაზებულ ფანს მანჩინისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია და საქმე იქამდეც მისულა, რომ გადაძახილ-გადმოძახილში კინაღამ დაცვა ჩაერთო, მუშტი-კრივი არ ატყდესო.

ერთ-ერთ იტალიელ ჟურნალისტს კი ზლატან იბრაჰიმოვიჩისთვის უკითხავს: „რა მოხდა?" შვედს უპასუხია: „მატერაცის რატომ არ ეკითხებით?"

მიუხედავად ორივე ამ ფეხბურთელის რთული ხასიათისა, მათ ერთმანეთში ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და თუ ისინიც წაკინკლავდნენ, მანჩინის ისედაც დაძაბული ვითარების განმუხტვა უფრო მეტად გაუჭირდება.

ასეა თუ ისე, ინტერელები ისტორიით იმშვიდებენ გულს და იმედიანად არიან. 1965 წელს „ნერაძურიმ" „ენფილდზე" 1:3 წააგო, მაგრამ „სან სიროზე" 3:0 სძლია „ლივერპულს" და საბოლოოდ მოიგო კიდეც ჩემპიონთა თასი.

**კოკი კანდელაკი**

# გრანტის ცუდი ხელი
## ლემონისმა ლუა ლუა დაიფუფუნა

**ოლიმპიაკოსი 0:0 ჩელსი**

**ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ჟევლაკოვი, ჟულიო სეზარი, ანცასი, პანტოსი, ლედესმა, ტოროსიდისი, სტოლტიდისი, გალეტი (ლეონარდო 83), ჯორჯევიჩი (ბელუში 76), კოვაჩევიჩი (ნუნიესი 87)**
**მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი**
**ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, კარვალიუ, ალექსი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ბალაკი (ლამპარდი 86), მალუდა (ანელკა 75), ჯ. კოული (ს. კალუ 75), დროგბა**
**მწვრთნელი: ავრაამ გრანტი**
**გაფრთხილება: ალექსი, ბელეტი, მაკელელე, ბელუში, ე. კოული**
**მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)**
**33 000 მაყურებელი**

**„ასე ცუდად** ჩემს გუნდს არ უთამაშია" — თქვა „ჩელსის" მწვრთნელმა ავრაამ გრანტმა, რომელმაც ჯონ ტერი სათადარიგოებში დატოვა, ფრენკ ლამპარდი კი ბოლოს ოთხი წუთით შეცვლაზე შეუშვა.

ორივე ფეხბურთელმა ტრავმა 10 დღის წინ მოიშუშა და სამშაბათს „პადერსფილდთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. ლამპარდმა იმ შეხვედრაში დუბლიც შეასრულა, მაგრამ „ოლიმპაკოსთან" სკამზე დასვეს. ამის თაობაზე გრანტმა განაცხადა: „მე შემადგენლობის შერჩევისას არ ვმკითხაობ. ვცდილობ, რომ ყოველთვის 11 უძლიერესი ფეხბურთელი მყავდეს. ეს ჩემი პრინციპია და არასოდეს ვუღალატებ. ზუსტად ვიცი, თუ რომელი მოთამაშე როგორ ფორმაშია და ხვალვე ხელმეორედ რომ ვხვდებოდეთ „ოლიმპიაკოსს", არაფერს შევცვლიდი".

მწირმომენტიან მატჩში ჩელსელებმა ისე ითამაშეს, თითქოს ერთმანეთი პირველად ნახესო. ორ ზუსტ პასს ვერ აბამდნენ და შედეგად, სამ მომენტზე მეტი ვერ შექმნეს. ახლოდან რიკარდუ კარვალიუს თავით დარტყმული ნიკოპოლიდისმა მოიგერია, შეცვლაზე შესულ კალუსაც მეკარემ აუღო, მალუდამ კი საჯარიმოს ხაზიდან ბურთი კარის ზედა კუთხეს ოდნავ ააცილა.

„საპასუხო მატჩში დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან გოლს თუ გავუშვებთ, მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდებით — აღნიშნა გრანტმა — კარგი ისაა, რომ შინ ჩვენებური გეგმით ვითამაშებთ. მუდამ მოგება გვსურს, მაგრამ უგოლო ფრე ცუდი შედეგი არაა. სულ სხვა საქმეა, რომ ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით ამჯერად უკმაყოფილო ვარ. ძალიან მცირე მომენტები გვქონდა და ეს ვერ გამახარებს. პირეოსში თამაში ძნელია, რადგან გულშემატკივრები განსხვავებულნი არიან და მეტოქეც ტაქტიკურად კარგად ორგანიზებული იყო. ეს არცაა გასაკვირი, მათ ხომ ჯგუფის ეტაპზე შინ ერთი თამაშიც არ წაუგიათ.

„ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი პანაიოტის ლემონისი: „დღევანდელი შედეგი საპასუხო მატჩისთვის ჩვენს მიდგომას შეცვლის. შეხვედრის წინაც ვიცოდით, რომ მეოთხედფინალში გასვლა ძალიან ძნელი იქნებოდა და ვითარება არ შეცვლილა. „ოლიმპიაკოსს" მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი აქვს და სასურველი შედეგის მისაღწევად საპასუხო მატჩში ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. „ჩელსის" კლასის გათვალისწინებით, საკმაო მომენტები გვქონდა, მაგრამ მოსაგებად ამ მომენტების გამოყენებაა საჭირო. მიუხედავად ამისა, შედეგით კმაყოფილი ვარ. გუნდის ტაქტიკური დისციპლინაც სამაგალითო იყო. ყველა ფეხბურთელმა დავალება კარგად შეასრულა. ჩელსელებს სივრცე ამოუქოლეს და გალაღების საშუალება არ მისცეს. ჩვენს ტაქტიკაში მთავარ როლს, როგორც წესი, ლომანა ლუა ლუა ასრულებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის 100 პროცენტით მზად არ იყო და ამიტომ არ ვათამაშე. თითქმის დარწმუნებული ვარ, ლუა ლუა რომ ყოფილიყო, მოვიგებდით. ვიმედოვნებ, იგი საპასუხო მატჩისთვის გამოკეთდება".

„ოლიმპიაკოსის" კაპიტანი პრედრაგ ჯორჯევიჩი: „ვფიქრობ, რომ კარგად ვითამაშეთ და ლონდონშიც თუ ასეთი მატჩი გამოგვივა, მეოთხედფინალში გასვლის შანსი გვექნება. სამწუხაროდ, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, თორემ საპასუხო შეხვედრისთვის უფრო თავდაჯერებულები ვიქნებოდით. საერთოდ კი, უნდა აღვნიშნო, რომ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ კარგად ვთამაშობთ და განსაკუთრებით — დაცვაში".

**ვაჟა ხუციშვილი**



ვასილის ტოროსიდისმა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა

UEFA CUP **უეფას თასი 2007-08. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს**

# რას კადრულობთ?!

## ატლეტიკომ ფანებს ბოლტონი გამოუფინა

„რეინჯერსის“ ფეხბურთელებმა ათენში სტუმრობა პართენონის დათვალიერებით დაიწყეს



**ვილიარეალი (ესპანეთი) — ზენიტი (რუსეთი) (0:1)**
**ლევერკუზენი (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) (0:0)**
**ხეტაფე (ესპანეთი) — აეკ (საბერძნეთი) (1:1)**
**ევერტონი (ინგლისი) — ბრანი (ნორვეგია) (2:0)**
**ბრაგა (პორტუგალია) — ვერდერი (გერმანია) (0:3)**
**სპარტაკი (რუსეთი) — მარსელი (საფრანგეთი) (0:3)**
**ჰელსინგბორგი (შვედეთი) — პსვ (ჰოლანდია) (0:2)**
**ბორდო (საფრანგეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) (1:2)**
**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) (0:0)**
პრესკონფერენციის დასასრულს ძიუდოს ფედერაციის პრესსამსახურმა მოგვაწოდა გერმანიის მსოფლიოს სუპერთასსა და ჩეხეთის მსოფლიოს თასზე წამსვლელ ქართველ ძიუდოისტთა სია.

გერმანიაში 60 კგ წონით კატეგორიაში ბეთქილ შუკვანი იჭიდავებს, 66 კგ-ში ალექსანდრე იაკობაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი, 81 კგ-ში გრიგოლ შინჯიკაშვილი და ხვიჩა ხუციშვილი, 100 კგ-ში ნოდარ მეტრეველი, ხოლო 73, 90 კილოგრამებსა და მძიმე წონაში წარმომადგენელი არ გვეყოლება.

ჩეხეთის ტურნირზე 60 კგ-ში არ გამოვალთ, 66 კგ-ში ნესტორ ხერგიანი და მინდია ხომიზური იჭიდავებენ, 73-ში ზაზა კედელაშვილი და ზურაბ დილებაშვილი, 81 კგ-ში საბა გავაშელიშვილი და გიორგი ბაინდურაშვილი, 90 კგ-ში ირაკლი ცირეკიძე და ზურაბ ზვიადაური, 100 კგ-ში ლომერ ჟორჟოლიანი, მძიმე წონაში კი ლაშა გუჯეჯიანი.

გერმანიის მსოფლიოს სუპერთასი 22-24 თებერვალს გაიმართება, ჩეხეთის მსოფლიოს თასი კი — 1-2 მარტს.

**ზურაბ მიგრიაული**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

19 თებერვალი

**კაროლინა 2:3 ბოსტონი**
*0:1 0:1 2:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 ხარა (5), 0:2 სავარი (35), 1:2 უიტნი (59), 2:2 კოული (60)

**მონრეალი 6:5 რეინჯერსი**
*0:3 2:2 3:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*
0:1 დუბინსკი (9), 0:2 ეივრი (10), 0:3 შენაჰენი (14), 0:4 შენაჰენი (25), 0:5 დრური (26), 1:5 რაიდერი (29), 2:5 რაიდერი (33), 3:5 კოვალიოვი (27), 4:5 შტრაიტი (47), 5:5 კავალიოვი (56)

**პიტსბურგი 3:2 ფლორიდა**
*0:1 0:1 3:0*
0:1 ბუტი (17), 0:2 მაკლინი (33), 1:2 არმსტრონგი (45), 2:2 მელოუნი (57), 3:2 მელოუნი (60)

**ტორონტო 3:1 კოლუმბუსი**
*3:1 0:0 0:0*
1:0 კოლაიაკოვო (6), 2:0 ანტროპოვი (16), 2:1 ჟერდევი (16), 3:1 კილგერი (17)

**ოტავა 3:2 ფილადელფია**
*1:0 1:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 კელი (3), 2:0 ვერმეტი (36), 2:1 ტიმონენი (40), 2:2 ეპშოლი (44)

**მინესოტა 2:3 ვანკუვერი**
*1:0 0:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 გაბორიკი (19), 1:1 კუკი (36), 2:1 ბელანჟე (45), 2:2 ნესლუნდი (55), 2:3 დ. სედინი (64)

**ნეშვილი 5:4 ედმონტონი**
*2:1 2:3 1:0*
1:0 ნიკოლი (10), 2:0 რადულოვი (15), 2:1 პიზანი (19), 3:1 ტუტუ (26), 3:2 გრებეშკოვი (34), 3:3 განიე (35), 3:4 რიზონერი (36), 4:4 არნოტი (36), 5:4 დიუმონი (59)

**სენტ ლუისი 5:1 ჩიკაგო**
*1:1 1:0 3:0*
0:1 ჰავლატი (2), 1:1 ჯეკმენი (11), 2:1 ბოისი (29), 3:1 სტემპნიაკი (52), 4:1 ტკაჩუკი (53), 5:1 მაკლემენტი (58)

**ფინიქსი 1:4 კალგარი**
*0:0 1:2 0:2*
0:1 იგინლა (24), 1:1 მორისი (27), 1:2 ჰანაფი (28), 1:3 ფანაფი (43), 1:4 იგინლა (60)

### აღმოსავლეთი

| ატლანტიკა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 60 | 34 | 21 | 5 | 161:143 | 73 |
| პიტსბურგი | 60 | 34 | 21 | 5 | 177:161 | 73 |
| რეინჯერსი | 62 | 30 | 24 | 8 | 157:155 | 68 |
| ფილადელფია | 60 | 30 | 24 | 6 | 186:174 | 66 |
| აილენდერსი | 60 | 28 | 25 | 7 | 150:174 | 63 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 60 | 35 | 20 | 5 | 204:177 | 75 |
| მონრეალი | 61 | 33 | 19 | 9 | 192:172 | 75 |
| ბოსტონი | 59 | 30 | 23 | 6 | 155:160 | 66 |
| ბუფალო | 59 | 28 | 23 | 8 | 173:166 | 64 |
| ტორონტო | 61 | 25 | 27 | 9 | 168:194 | 59 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 63 | 30 | 28 | 5 | 183:201 | 65 |
| ვაშინგტონი | 60 | 28 | 26 | 6 | 171:185 | 62 |
| ატლანტა | 61 | 29 | 28 | 4 | 165:195 | 62 |
| ფლორიდა | 62 | 27 | 29 | 6 | 169:178 | 60 |
| ტამპა | 59 | 25 | 28 | 6 | 171:193 | 56 |

### დასავლეთი

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 62 | 42 | 15 | 5 | 199:136 | 89 |
| ნეშვილი | 62 | 32 | 23 | 7 | 181:172 | 71 |
| სენტ ლუისი | 59 | 28 | 22 | 9 | 157:164 | 65 |
| კოლუმბუსი | 62 | 27 | 26 | 9 | 150:164 | 63 |
| ჩიკაგო | 59 | 27 | 26 | 6 | 166:169 | 60 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 60 | 34 | 21 | 5 | 169:163 | 73 |
| ვანკუვერი | 60 | 30 | 22 | 8 | 160:154 | 68 |
| კალგარი | 60 | 30 | 22 | 8 | 174:175 | 68 |
| კოლორადო | 60 | 30 | 25 | 5 | 165:166 | 65 |
| ედმონტონი | 61 | 27 | 29 | 5 | 164:183 | 59 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 63 | 37 | 21 | 5 | 183:155 | 79 |
| ანაჰაიმი | 63 | 33 | 23 | 7 | 156:157 | 73 |
| სან ხოსე | 59 | 31 | 20 | 8 | 154:146 | 70 |
| ფინიქსი | 61 | 31 | 26 | 4 | 169:168 | 66 |
| ლოს ანჯელესი | 62 | 25 | 34 | 3 | 176:205 | 53 |


ევგენი მალკინი ლიგის საუკეთესო ბომბარდირია

ბომბარდირები: ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 79 (34+45); ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 78 (48+30); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 76 (32+44); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 74 (34+40); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 73 (24+49); ჯერომ იგინლა (კალგარი) 73 (37+36); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 73 (35+38); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 72 (21+51); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 71 (21+50); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 68 (17+51); მაიკ რიბეირო (დალასი) 67 (24+43); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 67 (40+27); მარკ სავარი (ბოსტონი) 66 (14+52); მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია) 65 (23+42); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 64 (20+44); სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 63 (20+43); დენი ჰიტლი (ოტავა) 63 (28+35); მარიან გაბორიკი (მინესოტა) 63 (33+30)

გოლეადორები: ოვეჩკინი 48; კოვალჩუკი 40; იგინლა 37; ზეტერბერგი 35; ალფრედსონი, მალკინი 34-34; გაბორიკი 33; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი), ლეკავალიე 32-32; რიკ ნეში (კოლუმბუსი) 31; ოლი იოკინენი (ფლორიდა), ალექსეი კოვალიოვი (მონრეალი), ერიკ სტაალი (კაროლინა) 29-29

ასისტენტები: სავარი 52; დაციუკი, ტორნტონი 51-51; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), სენ ლუი 50-50; სპეცა 49; მალკინი, სკოტ გომესი (რეინჯერსი) 45-45; ლეკავალიე, გეცლაფი 44-44; რიბეირო, კროსბი 43-43; შონ დოანი (ფინიქსი), რიჩარდსი 42-42

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლიდსტრომი 39; დაციუკი 35; ჰიტლი 33; ზეტერბერგი, გეცლაფი 26-26; სპეცა 24; დანიელ კლირი (დეტროიტი) 23; დანკან კეიტი (ჩიკაგო), იგინლა, ჯეისონ არნოტი (ნეშვილი) 22-22; კენტ ჰასკინსი (ანაჰაიმი), ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი) 20-20

მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,07; კრის ოსგუდი (დეტროიტი) 2,11; ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 2,18; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,18; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,18; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,22; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,22; მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 2,23; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,25; მარტი ტურკო (დალასი) 2,28

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: კონკლინი 93,2; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 92,6; ლეკლერი 92,2; დენ ელისი (ნეშვილი) 92,0; ლუონგო 92,0; მეტიუ გერონი (ედმონტონი) 91,8; კრისტობალ იუე (მონრეალი) 91,8; ბროდო 91,8; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 91,8; ჟიგერი 91,8; კერი ლეჰტონენი (ატლანტა) 91,7; ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა) 91,7

მოგებული მატჩები: ბროდო 32; ნაბოკოვი 31; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 30; ლუონგო, რაიან მილერი (ბუფალო), ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი), ტურკო, ჟიგერი 26-26; ვოკოუნი 25; კემ უარდი (კაროლინა) 24

შატაუტები: ლეკლერი და ლუნდკვისტი 7; ლუონგო, ნაბოკოვი 6-6; ელისი, ვოკოუნი, კრის მეისონი (ნეშვილი), ჰაშეკი, გერონი, ჟიგერი, ოსგუდი, ბროდო, ლეგასი 4-4



## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

### მეორე ჯგუფური ეტაპი

# საკლუბო ხელბურთის გერმანია ლიდერობს

**საკლუბო** ხელბურთის ყველაზე პრესტიჟულმა ტურნირმა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგამ, მეორე ჯგუფური ეტაპის ორი ტური მოილია და რამდენიმე საინტერესო თამაშიც გამოაცხო. ოთხი ჯგუფიდან მაქსიმალური ქულების დაგროვება გერმანულმა გრანდმა „კილმა“ და ესპანეთის „სიუდადმა“ შეძლეს.

მეორე ტურში „კილმა“ რუსულ „ჩეხოველ დათვებს“ უმასპინძლა და 28:25 მოუგო. დამხვდურთაგან 10 გოლით ნიკოლა კარაბატიჩი გამოირჩა, ხელბურთელი, რომელიც ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე იყო. სტუმრებიდან 6-6 ბურთი დიბიროვმა და კარამანინმა შეაგდეს. „სიუდადმა“ ფრანგულ „მონპელიეს“ შინ 27:24 აჯობა. გამარჯვებაში წვლილი სუტენკამ და სტეფანსონმა ექვსექვსი გოლით შეიტანეს.

უშელავათო ბრძოლა შედგა უნგრეთში, სადაც ადგილობრივმა „პიკმა“ „სვენდბორგს“ ოდენ ქულით მოუგო — 34:33. არადა, პირველი ტაიმის მერე დანიელები 19:15 იგებდნენ.

„გუმერსბახმა“, რომელსაც ახლა გერმანიის ჩემპიონატში კარგი დროება არ უდგას და ლიდერებს ჩამორჩება, შინ „გორენჯე“ 33:30 დაჩაგრა. ბუნდესლიგის გრანდს 9 გოლით სიგუდარსონი შეეშველა. „ბარსელონამ“ „პივოვარნას“ 39:28 გადაუარა და ჯგუფს ბურთების უკეთესი მაჩვენებლის წყალობით ლიდერობს. ესპანელთაგან 9 გოლი ფერნანდესმა მოინაგრა. კიდევ ერთმა გერმანულმა გრანდმა „ჰამბურგმა“ „ოსიგერანჟი“ 32:29 დაამარცხა და მესამე ჯგუფს თავში მოექცა. იენსენმა სტუმრებს 8-ჯერ გამოატანინა ბურთი კარიდან, ხორვატთაგან კი 7 გოლი ვორიმ მიითვალა.

**ლექსო მაისურაძე**

### I ჯგუფი

**პირველი ტური**

ლეავრი (საფრანგეთი) 25:39 კილი (გერმანია)
ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 30:28 ადემერი (ესპანეთი)

**მეორე ტური**

კილი (გერმანია) 28:25 ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი)
ადემერი (ესპანეთი) 30:22 ლავრი (საფრანგეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კილი | 2 | 2 | 0 | 0 | 67:50 | 4 |
| ადემერი | 2 | 1 | 0 | 1 | 58:52 | 2 |
| ჩეხ. მედვედი | 2 | 1 | 0 | 1 | 55:56 | 2 |
| ლავრი | 2 | 0 | 0 | 1 | 47:69 | 0 |

### II ჯგუფი

**პირველი ტური**

გორენჟე (სლოვენია) 22:31 სიუდადი (ესპანეთი)
მონპელიე (საფრანგეთი) 41:37 გუმერსბახი (გერმანია)

**მეორე ტური**

სიუდადი (ესპანეთი) 27:24 მონპელიე (საფრანგეთი)
გუმერსბახი (გერმანია) 33:30 გორენჟე (სლოვენია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიუდადი | 2 | 2 | 0 | 0 | 58:46 | 4 |
| მონპელიე | 2 | 1 | 0 | 1 | 65:64 | 2 |
| გუმერბახი | 2 | 1 | 0 | 1 | 70:71 | 2 |
| გორენჟე | 2 | 0 | 0 | 2 | 52:64 | 0 |

### III ჯგუფი

**პირველი ტური**

ოსიგერანჟე (ხორვატია) 29:23 პორტლენდი (ესპანეთი)
ფრენსბურგი (გერმანია) 33:33 ჰამბურგი (გერმანია)

**მეორე ტური**

პორტლენდი (ესპანეთი) 30:22 ფლენსბურგი (გერმანია)
ჰამბურგი (გერმანია) 32:29 ოსიგერანჟე (ხორვატია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 65:62 | 3 |
| პორტლენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 53:51 | 2 |
| ოსიგერანჟე | 2 | 1 | 0 | 1 | 58:55 | 2 |
| ფლენსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 55:63 | 1 |

### IV ჯგუფი

**პირველი ტური**

სვენდბორგი (დანია) 35:33 ბარსელონა (ესპანეთი)
პივოვარნა (სლოვენია) 35:30 პიკი (უნგრეთი)

**მეორე ტური**

ბარსელონა (ესპანეთი) 39:28 პივოვარნა (სლოვენია)
პიკი (უნგრეთი) 34:33 სვენდბორგი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 1 | 0 | 1 | 72:63 | 2 |
| სვენდბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 68:67 | 2 |
| პიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 64:68 | 2 |
| პივოვარნა | 2 | 1 | 0 | 1 | 63:69 | 2 |

# ნახევარი საქმეც საქმეა



**მანუჩარ** მარკოიშვილის „ბკ კიევს" ნახევარი ნაბიჯი დარჩა ულებ-ის თასის მერვედფინალამდე. გუშინწინ უკრაინის საუკეთესო გუნდმა ბელგიაში „ოსტენდე" დაამარცხა და თუ ერთი კვირის შემდეგ ამ უპირატესობას შინ არ გაანიავებს, მომდევნო ეტაპზე გავა.

ყველამ იცის, რომ კიეველებს შინ უფრო გაუიოლდებათ, მაგრამ მათი თავკაცი ტომო მაჰორიჩი ფრთხილობს: „საქმე ჯერ მხოლოდ სანახევროდ მოვაგვარეთ. მომდევნო მატჩშიც თუ ასეთივე შემართებით არ ვითამაშეთ, ბელგიაში მოპოვებული უპირატესობიდან ალარაფერი დაგვრჩება".

არადა, კიეველები მეორე ტაიმში 12 ქულას აგებდნენ და რომ არ თავდადებული გარჯა, საეჭვო იყო, ბელგიიდან ალაფით წამოსულიყვნენ. მასპინძლებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და გადამწყვეტ მეოთხედამდე ლიდერობდნენ, თუმცა მერე კიეველებიც ამოქმედნენ და ამაში გვარიანი წილი ქართველ უკანახაზელსაც მიუძღვის.

მარკოიშვილი ბოლო მატჩებში ჩვეულად ვერ ირჯებოდა. მას ქულების ხვეჭაც გაუძვირდა და დაცვაშიც ვერ ყოჩაღობდა, თუმც ბელგიაში თავი გამოიჩინა. მანუჩარს ხუთეულში არ დაუწყია, მაგრამ მოედანზე რომ შევიდა, თამაში წაუვიდა. მწვრთნელმაც დიდი ხნით დატოვა და მარკოიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო იმ შტურმში, რომელმაც კიეველებს ეს მატჩი მოაგებინა.

ბოლო მეოთხედის შუაწელში ოსტენდელები 52:42 იგებდნენ, როცა რაიან სტაკმა, მარკო მარვიჩმა და მარკოიშვილმა ქულების სეტყვა დაატეხეს მასპინძლებს და საბოლოოდ 65:61 იმარჯვეს.

საპასუხო მატჩი 26 თებერვალს კიევში გაიმართება და თუ მარკოიშვილის გუნდმა 4 ქულაზე მეტით არ წააგო, მერვედფინალში გაივაკებს.

**ირაკლი პერტაია**

**ულებ-ის თასი. მეთექვსმეტედფინალი**

შლიონსკი (პოლონეთი) 78:85 დინამო (რუსეთი)
აკადემიკი (ბულგარეთი) 67:54 ვენტსპილსი (ლატვია)
ოსტენდე (ბელგია) 61:65 ბკ კიევი (უკრაინა)
ნიმბრუკი (ავტსრია) 61:61 ტუროვი (პოლონეთი)
შალონი (საფრანგეთი) 93:85 ხირონა (ესპანეთი)
ჰემოფარმი (სერბეთი) 82:56 ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
უნიქსი (რუსეთი) 91:65 ტელეკომი (თურქეთი)
არტლენდი (გერმანია) 81:75 ტრიუმფი (რუსეთი)
სვანსი (შვედეთი) 59:89 ხუვენტუდი (ესპანეთი)
კიოლნი (გერმანია) 72:91 ხიმკი (რუსეთი)
აზოვმაში (უკრაინა) 82:80 ზადარი (ხორვატია)
პანიონიოსი (საბერძნეთი) 70:59 პამესა (ესპანეთი)
ჰაპოელი (ისრაელი) 88:73 ბეშიქთაში (თურქეთი)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 81:71 ბენეტონი (იტალია)
ასველი (საფრანგეთი) 69:69 გალათასარაი (თურქეთი)
ბოსნა (ბოსნია) 89:82 კანარია (ესპანეთი)



# ცინცაძეს ძველი ახსოვს

**გიორგი ცინცაძეს** ჯერ კიდევ ევროთასის ჯგუფში მოუწია თავის ყოფილ გუნდთან ბრძოლა და ახლა, როცა პლეი ოფში თამაშობს, აქაც ძველ ნაცნობებთან უწევს ურთიერთობის გარკვევა.

ცინცაძის „როკმა" ჯგუფში ქართველის ყოფილ გუნდ „სამარას" აჯობა, მერვედფინალში კი ასევე რუსული „ურალ გრეიტი" შეეფეთა, რომელსაც გუშინწინ პირველი საპლეიოფო მატჩი დაძაბულ ბრძოლაში მოუგო.

ცინცაძე „ურალ გრეიტში" თამაშობდა, სანამ „როკში" გადავიდოდა და გუნდი იმიტომ გამოიცვალა, რომ რუსები ქართველს არ სწყალობდნენ. ამჯერად ცინცაძეს შესაძლებლობა მიეცა, თავისი ძალა დაენახვებინა ურალელებისთვის და ამას ქართველმა გამთამაშებელმა ჩინებულად გაართვა თავი.

გიორგიმ ყველაზე მეტი, 36 წუთი დაჰყო მოედანზე და მართალია, ბომბარდირი ვერ გახდა, ყველაზე სარგებლიანი მაინც ის იყო. მთავარმექულე, 18 ქულის მომხვეჭი ტანელ ტეინი გახდა, ცინცაძის ანგარიშზე კი 16 ქულა, 6 პასი და 4-4 მოხსნა-ჩაჭრა დაგროვდა.

თანაბარ თამაშში კვანძი მესამე ათწუთეულში გაიხსნა, როცა „როკერებმა" 16 უპასუხო ქულა ჩაუგდეს მეტოქეს და რუსებისთვის მიუწვდომელნი გახდნენ.

ულებ-ის თასისგან განსხვავებით, ევროთასზე საპლეიოფო ორთაბრძოლა ორ გამარჯვებამდეა. თუკი „როკი" საპასუხო მატჩს წააგებს, გადამწყვეტი ჯახი კვლავ ესტონეთში გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

**ევროთასი. მეოთხედფინალი**

როკი (ესტონეთი) 78:75 ურა გრეიტი (რუსეთი)
მონსი (ბელგია) 92:66 სამარა (რუსეთი)
აელ (კვიპროსი) 70:65 ხიმიკი (უკრაინა)
ბარონსი (ლატვია) 67:58 ზაგრები (ხორვატია)

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დაბლ-დაბლი დაბალ თამაშში

## ზაზა ფაჩულიამ წაგებულში გამოიხედა

19 თებერვალი

**ლეიკერსი 122:93 ატლანტა**

**ლეიკერსი:** ფიშერი (10), ბრიანტი (23), რადმანოვიჩი (14), ოდომი (17 ქულა, 15 მოხსნა), გასოლი (23); ფარმარი (12), ვუიაჩიჩი (8), უოლტონი (6), კარლი (5), ტურიაფი (4), მბენგა

**ატლანტა:** ბიბი (5), ჯ. ჯონსონი (18), მ. უილიამსი (4), სმიტი (8), ჰორფორდი (4); ლოუ (16), ჩილდრესი (16), ფაჩულია (21 წუთი, 12 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი), რიჩარდსონი (8), სტუდემაიერი (2), ჯონსი

**დენვერი 124:118 ბოსტონი**

**დენვერი:** ენტონი (29), აივერსონი (28 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), მარტინი (19), კარტერი (16), კემბი (11 ქულა, 13 მოხსნა, 9 დაფარება)

**ბოსტონი:** პირსი (29), რონდო (22), ალენი (20)

**დეტროიტი 85:103 ორლანდო**

**დეტროიტი:** სტაკი (16)

**ორლანდო:** ლუისი (20), ბოგანსი (19), ევანსი (16)

**კლივლენდი 85:93 ჰიუსტონი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (26 ქულა, 13 მოხსნა, 11 პასი), ჰიუზი (16), ილგაუსკასი (16)

**ჰიუსტონი:** ალსტონი (22), მაკგრეიდი (17), მინი (16 ქულა, 14 მოხსნა), სკოლა (15)

**ვაშინგტონი 100:113 ნიუ იორკი**

ძირითადი დრო 90:90

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (20 ქულა, 13 მოხსნა), მეისონი (15)

**ნიუ იორკი:** რენდოლფი (24 ქულა, 10 მოხსნა), კროუფორდი (21), ლი (19), რობინსონი (19), რიჩარდსონი (19)

**იუტა 119:109 გოლდენ სტეიტი**

**იუტა:** უილიამსი (29 ქულა, 12 პასი), კირილენკო (18), ბუზერი (16 ქულა, 12 მოხსნა), ოქური (16 ქულა, 10 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** ჰარინგტონი (21), ელისი (18), დევისი (17)

**მინესოტა 104:88 ფილადელფია**

**მინესოტა:** მაკკანტსი (20), ჯეფერსონი (19 ქულა, 14 მოხსნა), იარიჩი (15)

**ფილადელფია:** იგუდალა (17), მილერი (15)

**სან ანტონიო 85:65 შარლოტი**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (18), ფინლი (14)

**შარლოტი:** ფელტონი (19)

**სიეტლი 108:101 მემფისი**

**სიეტლი:** უოტსონი (26), შჩერბიაკი (24)

**მემფისი:** გაი (23), უორიკი (22), ნავარო (16)

**პორტლენდი 94:105 საკრამენტო**

**პორტლენდი:** აუთლოო (23), ვებსტერი (18)

**საკრამენტო:** არტესტი (24), გარსია (23), მარტინი (21), მილერი (15)

**სანამ** საკალათბურთო ამერიკა ნიუ ორლეანში ვარსკვლავთა ჭვრეტით ტკბებოდა, „ატლანტას" შეფებმა ერთი გაცვლა მოაკვარახჭინეს და ოთხი უხეირო მოთამაშის ნაცვლად „საკრამენტოს" ერთი და ხეირიანი გამთამაშებელი მაიკ ბიბი დასტყუეს. მაგრამ ახალ ვარსკვლავს დიდად არ გაუბრწყინია. სადებიუტო მატჩში — ლოს ანჯელესში „ლეიკერსთან" 5-ქულიანი ჯახირით ჩაფლავდა და შეტევაში მისი პასების იმედად მყოფი გუნდიც დაალალატა. „ატლანტას" დამწყებ ხუთეულში მხოლოდ ოლ სტარის მონაწილე ჯო ჯონსონმა დააგროვა ქულების ასე თუ ისე საპატიო ოდენობა. ამასობაში კი „ლეიკერსს" არც გასჭირვებია უიოლესი გამარჯვების ჩაწერა. კობი ბრაიანტს თითი სტკიოდა, რის გამოც ოლ სტარში რიგიანად ვერ იბურთავა, მაგრამ ახლა მან 30 წუთში 23 ქულა გააკეთა, ისევე როგორც პაუ გასოლმა და ბოლო მეოთხედში აღარც ათამაშა ფილ ჯექსონმა ეს დუეტი. თამაშის ბედიც ადრევე გადაწყდა, როცა „ატლანტამ" პირველი მეოთხედი 14:30 დათმო, მეორეში კი 23:43 განადგურდა.

თამაშმა აზრი რომ დაკარგა, „ატლანტას" თავკაცმა მაიკ ვუდსონმაც ამიტომ დატვირთა სათადარიგოები ჩვეულზე მეტი ხნით და ზაზა ფაჩულიამაც გაილაღა, მან 21 წუთში 12 ქულა და ამდენივე მოხსნა გააკეთა და სეზონში მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა.

ზედიზედ 10 მოგების შემდეგ მარცხი იგემა „დეტროიტმა", რომელსაც დუაიტ ჰოვარდის „ორლანდო" სახლში მიუხტა და საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ 18-ქულიანი წაგებით შეარცხვინა. არადა, თავად ჰოვარდი, ვისაც ბევრი სადღეისოდ ლიგის საუკეთესო ცენტრად თვლის, ინერტული იყო და 8 ქულის და 8 მოხსნის მეტს ვერ გამორჩა. ჩანს, შაბათს ჩატენვების კონკურსის მოგების და კვირას ყველა ვარსკვლავის მატჩში მონაწილეობის შემდეგ თავს ცოტა გამოფიტულად გრძნობდა, მაგრამ დეტროიტელებიც ასე იყვნენ — რიპ ჰამილტონისგან, ჩონსი ბილაფსისა და რაშიდ ვოლესისგან შემდგარმა ვარსკვლავურმა ტრიომ 31 ქულა და 8 მოხსნა შეაკოწიწა.

მოედანს დაუბრუნდა ოლ სტარის გამომტოვებელი კევინ გარნეტი, მაგრამ ვერც მისმა „ბოსტონმა" გაინავარდა დენვერში. გარნეტმა 21 წუთში ოდენ 4 ქულა გაახერხა, მისმა გუნდმა კი კარმელო ენტონის და ალენ აივერსონის „დენვერთან" ბოლო წამებზე წააგო. მოგებულთა შორის სახსენებელია ცენტრი მარკუს კემბი, ვისაც მხოლოდ ერთი დაფარება დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

**კოტე ყორშია**



ზაზა ფაჩულიამ სეზონში მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა

ქვარციტი QUARTZITE
ლიბერთი ექსპრეს ქონება

ევროპის ერთა თასი

პორტუგალია – საქართველო

23 თებერვალი. ლისაბონი. 19 საათი

# უფრო რთული პორტუგალია ფავორიტი კი მაინც საქართველოა


ბადრი ქეთილაძის ფოტო

**საქართველოს** ნაკრები, უკვე სამი დღეა, ლისაბონშია და ზეგ პორტუგალიასთან გასამართი საერთათასო მატჩისთვის შეკრებას გადის. ჩვენები ლისაბონში ისედაც შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ და დანაკლისს ვერც ლისაბონში გადაურჩნენ.

რუმინეთთან მატჩის შემდეგ „ლელოებს" გამოაკლდნენ ძირითადი რაზმელები ირაკლი გიორგაძე, დავით ზირაქაშვილი, მამუკა გორგოძე და მერაბ კვირიკაშვილი. ლისაბონში კი სანაკრებო შეკრებაზე ვერ ჩავიდა შალვა სუთიაშვილი, ვინც ამ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩისას დაშავდა და ტრავმა ვერ მოირჩინა. სუთიაშვილის ნაცვლად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ტიმ ლეინმა ფრანგული „მასის" მესამე ხაზელი გიორგი ჩხაიძე გამოიძახა.

ვინიცობაა, ვინმემ ტრავმა მიიღოს ან რამე გაუთვალისწინებელი მოხდესო, ლეინმა 22-კაცა სამატჩო შემადგენლობას კიდევ ერთი კაცი, საფრანგეთში მოთამაშე მორკინალი, 20 წლის დავით ჩიჩუაც დაამატა. ჩიჩუა ნაკრების ახალბედაა.

ტიმ ლეინი დამწყებ და სათადარიგო შემადგენლობას ხვალ საღამოს დანომრავს, მანამდე კი ლისაბონში ეს მორაგბეები ემზადებიან:

*შერკინება: გოდერძი შველიძე, დავით ქუბრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, კახა უჩავა, სიმონ მაისურაძე, დიმიტრი ბასილაია, გიორგი ჩხაიძე, რატი ურუშაძე, დავით ჩიჩუა.*

*უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი ყასაშვილი, რევაზ გიგაური, სანდრო თოდუა, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ ბარკალაია, დავით კაჭარავა, გიორგი შკინინი.*

გუშინ ლისაბონში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ტიმ ლეინს და ეს მცირე ინტერვიუც ჩამოვართვით.

**— როდესაც პორტუგალიაში ჩახვედით კიდევ ერთი მორაგბე, შალვა სუთიაშვილი გამოგაკლდათ, ამან ძალიან აგირიათ გეგმები?**

— სუთიაშვილი პორტუგალიასთან და რუმინეთთან ძირითად შემადგენლობაში ვათამაშე და ძალიან მომეწონა. შალვა მრავალმხრივი მოთამაშეა. დაცვაშიც და შეტევაშიც საიმედოდ თამაშობს. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ მისი გამოკლებით გეგმები აგვერია. საბედნიეროდ, საქართველოს ნაკრებში მორკინალების პრობლემა ყველაზე ნაკლებ გვაქვს, თანაც გიორგი ჩხაიძე გამოცდილი მორაგბეა და ამ ცვლილებებით არანაირად არ დავსუსტებულვართ.

**— სავარჯიშოდ ნორმალური პირობები გაქვთ?**

— დიახ, თანაც აქ უკეთესი ამინდია და ხელი არ გვეშლება. მასპინძლებმა მართლაც კარგი პირობები დაგვახვედრეს, თანაც სავარჯიშო მოედანი სასტუმროდან ოცი წუთის სავალზეა.

**— ამ უქმეებზე პორტუგალიამ ჩეხეთი გაანადგურა, თანაც რამდენიმე გამოცდილი მორაგბეც დაიმატა...**

— თქმა არ უნდა, ახლა გაცილებით რთული მატჩი გველის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფავორიტი პორტუგალიაა. ჩაფიქრებული მაქვს, რომ ამ სეზონში ყველა მატჩი მოვიგოთ. ამის თქმის უფლებას საქართველოს ნაკრების პოტენციალი მაძლევს.

**— თქვენი მწვრთნელობით ნაკრები პირველ საგარეო მატჩს ჩაატარებს. ამის მიხედვით, ტაქტიკას შეცვლით?**

— არა, რაც თბილისში პორტუგალიასთან და რუმინეთთან ვითამაშეთ, ახლაც იმავეს გავაკეთებთ, ოღონდ დარწმუნებული ვარ, რომ თამაშის ხარისხი გაცილებით უკეთესი იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

# ერთადერთი ნიჟარაძე


ბადრი ქეთილაძის ფოტო

**გუშინ** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტობის მსურველთა რეგისტრაციის ბოლო ვადა ამოიწურა. შეგახსენებთ, რომ 23 თებერვალს საქართველოს ნაკრები სტუმრად პორტუგალიას საერთათასო მატჩში ეთამაშება. მეორე დღეს, 24 თებერვალს კი საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა და ახალი პრეზიდენტის არჩევნებია. არჩევნები კი ვახსენეთ, მაგრამ უალტერნატივო კანდიდატურა ერთადერთია — რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, ვინც ვეტერანი მორაგბეა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება ფრიადზე ეხერხება.

ჯერ კიდევ კავშირის პრეზიდენტი მერაბ ანთაძე უკრაინაში საქართველოს ელჩად დანიშნეს და მეორე ვადით პრეზიდენტობა აღარ ისურვა, რადგან ფიზიკურად ვერ მოახერხებს საქართველოში ყოფნას.

**ბაჩო სვანიძე**

თქვენი ინტერვიუ

## ტიმ ლეინთან

საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი

*რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 23 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგვზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი ეროვნული გუნდის პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ჭიდაობა

# დარჩიამ საუნგრეთო დაარჩია

**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეთა ნაკრები თბილისში მოსამზადებელ შეკრებას გადის 28-29 თებერვალს უნგრეთში გასამართი მსოფლიოს თასის წინ. საწვრთნელ შეკრებაში ისინიც მონაწილეობენ, რომელთაც საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვეს. ერთი ეგაა, რომ ტრავმის გამო უნგრეთში ვერ იჭიდავებს მსოფლიოს ჩემპიონი რამაზ ნოზაძე (96კგ), თუმც საშიში არაფერია და მომდევნო ტურნირებში ისიც გამოვა. ნაკრები შეკრებას 23-ში დაასრულებს და უკვე 26 თებერვალს უნგრეთში გაემგზავრება. მანამდე კი, 23-24 თებერვალს სერბეთის საერთაშორისო ტურნირზე ორი ფალავანი იჭიდავებს — მანუჩარ ცხადაია (66კგ) და გენადი გოგიშვილი (74კგ). გეტყვით; რომ უნგრეთში ჯერ ნაკრებთა შეჯიბრი გაიმართება — ერთმანეთს პირველობას მსოფლიოს რეიტინგის მიხედვით ხუთი საუკეთესო და მასპინძელი უნგრეთი შეეცილებიან. რეიტინგი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგებით არის შედგენილი. ჩვენი ნაკრები სხვა გუნდებს ზემოდან გადმოცქერის, მერე კი რუსეთი, ირანი, ბულგარეთი და აშშ მოდიან, უნგრეთი, ამ მარაქაში იმიტომაა გარეული, რომ ტურნირის მასპინძელია.

გუნდურ პირველობას პირადული მოჰყვება, სადაც 40-მდე ქვეყნის მოჭიდავეები მოიყრიან თავს. საერთოდ კი, ეს ტურნირი საკმაოდ პრესტიჟულია.

*საუნგრეთო შემადგენლობა ასეთია — ლაშა გოგიტიძე, რევაზ ლაშხი (60კგ), დავით ბედინაძე, მუხრან მაჭუტაძე (66კგ) შმაგი სახლთხუციშვილი, ლაშა ლომიძე (74კგ), მანუჩარ კვირკველია, ბადრი ხასაია (84კგ), გივი მორჩილაძე (96კგ) რევაზ ჭელიძე, გურამ ფერსელიძე (120კგ).*

***ბეჟი დარჩია,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

„უნგრეთის ტურნირისთვის თბილისში ვემზადებით. იქ გამოსვლა დაგვანახვებს, როგორ ფორმაშია ნაკრები. უნგრეთის ტურნირი ძალიან სერიოზულია, ბევრი ძლიერი ნაკრები გამოვა. ბიჭების მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადავწყვეტთ, ვინ რომელ ტურნირზე გამოვა. ზოგს ევროპის ჩემპიონატზე გავუშვებთ, ზოგს კიდევ სალიცენზიო ტურნირებზე. თავისი შანსი ყველას მიეცემა".

**ლექსო მაისურაძე**

ჭადრაკი

## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი. 15 თებერვალი — 7 მარტი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 1:0 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0:1 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |

# სამთავიანი მორელია

**მეოთხე** ტურში ვესელინ ტოპალოვმა ალექსეი შიროვთან წააგო და ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა. ახლა ბულგარელს გვერდს ვიშვანათან ანანდი და ლევონ არონიანი უმშვენებენ.

ტოპალოვმა შიროვთან სიცილიური დაცვა არჩია, მეოთხე სვლაზე მეტოქეს პაიკი გაუცვალა და წინ მხედრები გაუშვა. შიროვმა მარჯვენა ფლანგიდან კუთი დაარტყა მეტოქეს, ფიგურა გაუცვალა და მარცხნიდან ეტლი აამოქმედა. ვესელინმა ლაზიერის მხარეს გადასხა ჯარები, მძიმე ძალებით შეუტია და გაცვლებს მიმართა. შიროვმა უკეთესი პოზიცია მოიპოვა, თანაც c ხაზზე პაიკის გაყვანა დაიწყო და ეტლებით ტოპალოვს დაემუქრა. ბულგარელმა მოიერიშე მტრის მოსაგერიებლად კი გაიბრძოლა, თუმც ვერაფერს გახდა და ალამი დახარა.

დაძაბული გამოდგა ვასილ ივანჩუკისა და ლევონ არონიანის დაპირისპირებაც. მეტოქეებმა აქტიურად დაიწყეს შეხვედრა და თავიდანვე გაცვლებს შეუდგნენ. თანდათან უპირატესობას უკრაინელი დაეუფლა, იგი ორი პაიკით გავიდა წინ, თუმც 37-ე სვლაზე დასანანი შეცდომა დაუშვა და კიდევ 23 სვლის შემდეგ დამარცხდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

1. *ვესელინ ტოპალოვი* 2,5
2. *ვიშვანათან ანანდი* 2,5
3. *ლევონ არონიანი* 2,5
4. *ალექსეი შიროვი* 2
5. *პეტერ ლეკო* 2
6. *ვასილ ივანჩუკი* 1,5
7. *თეიმურ რაჯაბოვი* 1,5
8. *მაგნუს კარლსენი* 1,5



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# წვიმიანი ტესტები

**საპირველფორმულო** სეზონის დაწყებამდე ოთხ კვირაზე ნაკლები დრო დარჩა და გუნდები ამთავრებენ 2008 წლის ჩემპიონატისთვის მზადებას.

სამშაბათს ბარსელონასა და ვალენსიაში წვიმის აკომპანიმენტით დაიწყო ბოლოსწინა სატესტო სესიები. თანაც, ვალენსიაში მხოლოდ „BMW-ზაუბერის“ პილოტები დაქრიან, ოღონდაც ამ ქროლვას წვიმამ გვარიანად შეუშალა ხელი — ნიკი ჰაიდფელდმა 22 წრე გაიარა, რობერტ კუბიცამ კი ოდენ 6 და ამის შემდეგ ორივემ ბოქსებს მიაშურა, რადგანაც, უკვე ქვევრისპირულად წვიმდა.

ამინდმა თავისი კორექტივები ბარსელონაშიც შეიტანა, სადაც ყველა მოუთმენლად ელის „ფერარისა“ და „მაკლარენის“ ბოლიდების ტრასაზე ერთდროულად გამოჩენას, მაგრამ სამშაბათს არც „ალისფერები“ გასულან „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე და არც „ვერცხლისფერები“ — იტალიელებს, თურმე თავიდანვე ასე ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ ტესტებში მეორე დღიდან ჩაბმულიყვნენ, ხოლო ინგლისელებმა წვიმის გამო შეიკავეს ტრასაზე გასვლისგან თავი.

შედეგად, ისე გამოვიდა, რომ ბარსელონური ტესტების პირველ დღეს, მხოლოდ ოთხი გუნდის — „უილიამსის“, „რენოს“, „რედ ბულისა“ და „ტოიოტას“ პილოტებმა იქროლეს სველ ასფალტზე.

დღის პირველ ნახევარში საუკეთესო დრო რენოელ ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს ჰქონდა — წუთი და 32,820 წამი, მაგრამ შესვენების შემდეგ ესპანელმა ეს შედეგი ველარ გააუმჯობესა და მეოთხე ადგილზე დაიწია. ყველაზე სწრაფები კი „ტოიოტას“ ძრავიანი „უილიამსები“ იყვნენ — ნიკო როსბერგმა საუკეთესო წრეზე წუთი და 30,675 წამი აჩვენა, ხოლო კაზუკი ნაკაძიმამ — 1.32, 370.

ზოგადად, „რენოსა“ და კერძოდ, ალონსოზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ მთელი დღის მანძილზეც და განსაკუთრებით, შესვენების შემდეგ, ფრანგული საჯინიბოს ხალხი ყველაზე ნაკლებად დაიტვირთა — ნანდომ მხოლოდ 24 წრე გაიარა (აქედან 16 დილით) და ეს მაშინ, როდესაც როსბერგმა და ნაკაძიმამ წყვილად 169 წრე დაარტყეს.

დღის მესამე შედეგი „რედ ბულის“ ავსტრალიელ მარკ ვებერს (1.32,599) ჰქონდა, ხოლო მისი შოტლანდიელი თანაგუნდელი დევიდ კულტჰარდი (12.32,924) მეხუთე იყო.

**კახა ლომაძე**

# რიცხვები და ავტოგრაფები
## უილიამსის საიუბილეო ფერი



ასე იწყებოდა „უილიამსი“: სერ ფრენკი და მისი ძველი გუნდი

**უკვე** 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფორმულა 1-ის ტრასებზე პირველი „უილიამსები“ გამოჩნდნენ. მართალია, „უილიამსის“ ისტორია 1977 წლიდან იწყება, როდესაც ფრენკ უილიამსმა პატრიკ ჰედთან ერთად ახალი გუნდი ჩამოაყალიბა, მაგრამ იმ სეზონში ეს გუნდი „მარჩის“ მანქანებით გამოდიოდა, ხოლო საკუთრივ „უილიამსის“ დებიუტი დიდ პრიზებზე 1978 წლის 15 მარტს, არგენტინაში შედგა და ბოლიდის საჭეს სამხრეთაფრიკელი ალან ჯონსი უჯდა.

სამეფო რბოლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი ოცდაათწლიან იუბილეს მეტად ორიგინალურად აღნიშნავს და სეზონისწინა ტესტებზე სხვადასხვაგვარად გაფორმებული ბოლიდებით გამოდის. სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოში, საიუბილეოდ, სულ ექვსი სხვადასხვაგვარი გაფორმება აირჩიეს. მაგალითად, ხერესში გამართულ ტესტებზე „უილიამსების“ ბოლიდები რიცხვებით იყო აჭრელებული და ამ რიცხვებით გუნდის მთელი ისტორია იყო გადმოცემული:

233787 — რბოლებში გავლილი კილომეტრები

49634 — რბოლებში გავლილი წრეები

34651 — კილომეტრები ლიდერის რანგში

7470 — წრეები ლიდერის რანგში

2522,5 — მოპოვებული ქულები

485 — რბოლა

295 — პოდიუმი

216 — რბოლა, როდესაც გუნდი ლიდერობდა

129 — უსწრაფესი წრე

125 — პოულ-პოზიცია

113 — დიდი პრიზი

68 — გამარჯვება პოულ-პოზიციიდან

61 — პირველ-მეორე ადგილები სტარტზე (აბსოლუტური რეკორდი)

45 — გამარჯვება სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობით

33 — დუბლი

24 — ზედიზედ მოპოვებული პოული (აბსოლუტური რეკორდი)

15 — სეზონში 16-დან 15 პოული. ორჯერ — 1992-93 წლებში (რეკორდი)

12 — სეზონში მოპოვებული უმეტესი გამარჯვება. 1992 წელს

9 — კონსტრუქტორთა თასი

7 — მსოფლიოს ჩემპიონობა

5 — ძრავების მომწოდებელთა რაოდენობა

3 — გუნდის მიერ ჩემპიონატებში დაკავებული ადგილების საშუალო მაჩვენებელი

2 — გუნდს აქვს ბრიტანეთის სამეფოს ორი ჯილდო

1 — პირველი გამარჯვება, ისევე, როგორც მეასე, მოპოვებულია მშობლიური „სილვერსტოუნის“ ტრასაზე

30-ე წლისთავის გარდა, „უილიამსები“ წლევანდელ სეზონში კიდევ ორი იუბილესთვის ემზადებიან — მონცაში გასამართი დიდი პრიზი გუნდის ისტორიაში მე-500 რბოლა იქნება, ხოლო, სავარაუდოდ ბარსელონაში, „უილიამსის“ ბოლიდების მიერ გავლილი წრეების რაოდენობა 50 000-ს მიაღწევს.

დავუბრუნდეთ საიუბილეოდ მოფიქრებული მანქანების სხვადასხვაგვარ გაფორმებას და ბარსელონაში, სადაც სამშაბათს მორიგი წინასასეზონო ტესტები გახურდა, „უილიამსის“ ბოლიდებს გუნდის ძველი ჩემპიონების ავტოგრაფები ამშვენებდა.

ალან ჯონსი, კეკე როსბერგი, ნელსონ პიკე უფროსი, ნაიჯელ მენსელი, ალენ პროსტი, დეიმონ ჰილი, ჟაკ ვილნევი — ამ მრბოლებმა „უილიამსის“ ბოლიდებით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს და საიუბილეოდ, წლევანდელ მანქანებზე სამახსოვრო წარწერები გააკეთეს. ყველაზე ლაკონური ჯონსი იყო. „მე პირველი ვიყავი“, ხოლო ყველაზე გრძელი ავტოგრაფი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა პროსტმა დატოვა: „დიდი მადლობა, ვამაყობ, რომ ჩემი ბოლო ტიტული თქვენთან ერთად მოვიპოვე“.

დაბოლოს, ისევ რიცხვები:

— „უილიამსმა“ მოიგო იმ რბოლათა 23,3 პროცენტი, რომლებშიც მონაწილეობდა („ფერარიმ“ — 26,5; „მაკლარენმა“ — 24,8);

— რბოლათა 60,8 პროცენტში გუნდის პილოტები პოდიუმზე ადიოდნენ;

— საშუალოდ, „უილიამსი“ ერთ რბოლაში 5 ქულას აკეთებს;

— „უილიამსი“ წელიწადში, საშუალოდ, 3,8 რბოლას იგებს (აბსოლუტური რეკორდი).

**კახა ლომაძე**



# ჰააზემ მიურეი გადახაზა




**როტერდამის** ტურნირმა ხეირიანად დაწყებაც ვერ მოასწრო, რომ რამდენიმე ხმაურიანი სენსაცია უკვე შემოგვთავაზა — ჰოლანდიურ პორტს პირველსავე წრეში ერთბაშად რამდენიმე ბობოლა გამოეთხოვა.

ადგილობრივებს ყველაზე მეტად მაინც ენდი მიურეის წაგება გაუხარდათ — ბრიტანელს მასპინძელმა რობინ ჰააზემ გამოუყვანა წირვა. არადა, შოტლანდიელმა ორიოდე დღის წინ მარსელში იმარჯვა და მის ასეთ უკბილო თამაშს ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. თუმც ენდისთვის სტაბილურობა ისევ მიუღწეველ ოცნებად რჩება. ჰააზემ კი ორი სეტი და საათნახევარზე ოდნავ მეტი იმყოფინა მიურეის წასაქცევად — ჰოლანდიელმა კარიერაში მხოლოდ მეორედ მოუგო ტოპათეულში შემავალ მეჩოგნეს.

შოტლანდიელის გარდა როტერდამიდან აბარგება მოუწევთ მიხაილ იუჟნის (4), ხუან-კარლო ფერეროსა (7) და მარკოს ბაღდატისს (8). განსაკუთრებით რუსის წაგებაა გამოსარჩევი, რადგანაც ის იანკო ტიპსარევიჩმა მიჩოგნა. ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს ორი კვირის წინ დევისის თასზეც უნდა დაჯახებოდა, მაგრამ მაშინ სერბს სიცხე ჰქონდა და თამაში ვერ შეძლო. ჰოდა, მათი ახლანდელი შეხვედრის შემხედვარე კიდევ ერთხელ შეიძლება იმის მტკიცება, რომ სერბებს რუსთა დამარცხების სერიოზული შანსი ექნებოდათ, იგივე ტიპსარევიჩი, ანაც ნოვაკ ჯოკოვიჩი სრულ ჯანზე რომ ყოფილიყვნენ.

სამაგიეროდ, იხეირეს ტურნირის მეორე-მესამე ნომრებმა — ნიკოლაი დავიდენკომ და დავიდ ფერერმა. რუსს იან ჰერნიხთან პრობლემის მაგვარიც არ ჰქონია, ესპანელს კი სიმონე ბოლელისთან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ საქმე მაინც ორ სეტში მოათავა.

ვინც ჰოლანდიაში თამაში იუარა, მათ ოკეანისგაღმეთს მიაშურეს — ნაწილმა გეზი სამხრეთისკენ აიღო და ბუენოს აირესში მოიყარა თავი, მეორე ნაწილი კი ამერიკულ სან ხოსეში შეიკრიბა. ეს ტურნირები ნელ-ნელა ხურდება და თითქოს ეშინიათ, როტერდამს არ ჩამოვრჩეთო, მოულოდნელობები ორგანვე აღინიშნა.

ბუენოს აირესში წააგეს ხუან მონაკომ და კარლოს მოიამ. მასპინძლის მარცხი კიდევ გასაგებია — ფეხის ტრავმა ზედ ტურნირის წინ მოიშუშა და არავის უკვირს, ფორმაში რომ არაა. ამიტომ მონაკოს აგუსტინ კალერისგან დამარცხება სავარაუდოც იყო. აი, მოიამ, რომელიც რამდენიმე დღის წინ ბრაზილიურ კოსტა დე საიუპეში ფინალში იყო, თავის გულშემატკივრებს უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. თუმცა, ეტყობა, ვეტერანი ძველებურად ველარ უძლებს წინ და უკან ფრენას და ძალების აღდგენა უჭირს. თანაც მოია მასპინძელ ხოსე აკასუსოსთან თამაშობდა, რამაც მას საქმე კიდევ უფრო გაუძნელა და ამიტომაც სრულიად უხიაგად ითამაშა.

მცირე მოულოდნელობა მოხდა სან ხოსეშიც, სადაც ტურნირს მეშვიდე ნომერი სემ ქუერეი გამოეთიშა — იანკი გერმანელმა დენის გრემელმაიერმა დასცა. თუმც ამერიკელებს სან ხოსეში სერიოზული წარმომადგენლობა ჰყავთ და ქუერეის ეს წაგება მაინცდამაინც გულზე ხინჯად არ მოხვედრიათ, მით უმეტეს, რომ თავიანთი მატჩები მოიგეს ჯონ აისნერმა, რობი ჯინეპრიმ და მარდი ფიშმა. იმარჯვა ჯეიმს ბლეიკმაც, რომელმაც ერთ საათში გადაურბინა თანამემამულე სემ უორბურგს. ჯერაც სათამაშო აქვს იანკთა პირველ ნომერ ენდი როდიკს, რომელსაც დებიუტი თავისნაირ ყუმბარმტყორცნ კრის გუჩიონესთან ექნება და წესით, იოლი გასეირნება სულაც არ ელის.

ქალთა ტურნირებიდან კი მთავარ ინტერესს დოჰას ტურნირი იწვევს, რადგანაც იქ ლამის ყველა ბობოლამ მოიყარა თავი — ჟუსტინ ენინის გარდა, ყატარში მთელი ელიტაა ჩასული.

როგორც ყოველთვის, პირველ დღეებში მთავარი ფავორიტები უქმად იყვნენ. სამაგიეროდ, ჩატარებულ მატჩებში უკვე მოხდა კარგა გვარიანი სენსაციები — ჯერ მერვე ნომერმა მარიონ ბარტოლიმ წააგო. ფრანგი დანიელმა თინეიჯერმა კაროლინ ვოზნიაკიმ დაიფრინა, თანაც როგორ — თავისზე გაცილებით გამოცდილ გალს მხოლოდ ხუთი გეიმი აალებინა.

ამაზე დიდი მოულოდნელობა ოდნავ მოგვიანებით მოხდა, როცა ნა ლიმ ანა ჩაკვეტაძე მიჩოგნა და ესეც ორ სეტში. რუსმა მხოლოდ პირველ სეტში შეძლო თანაბრად ბრძოლა, მაგრამ ტაიბრეიკზე წააგო და მერე მორალურად გატყდა, რადგანაც ჩინელს მეორე პარტიის დასაწყისშივე გააკეთებინა ბრეიკი და ველარ დაეწია. ათიოდ დღის წინ პარიზის ტურნირის მოგების შემდეგ ჩაკვეტაძე უბრალოდ საზიზღრად გამოიყურება, რადგანაც მას შემდეგ ერთი მატჩის მოგებაც კი ვერ მოახერხა.

**კახა ლომაშვილი**

# ოქრუაშვილი გლუშკოსთან დასრულდა

**ქართველების** საჩოგბურთო კვირა პორტუგალიურ პორტიმაოში დასრულდა. WTA-ტურის ეგიდით მიმდინარე ტურნირებზე მაკა ჩახნაშვილისა და ანა ტატიშვილის მარცხის შემდეგ, პორტიმაოში, სადაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით 10-ათასიანი შეჯიბრი ტარდება, მაგდა ოქრუაშვილმაც დახარა ჩოგანი.

საკვალიფიკაციო ეტაპის საწყის შეხვედრაში ფრანგ ლეტიცია პრატთან გამარჯვების შემდეგ მაგდამ ვერაფერი მოუხერხა ებრაელ ჯულია გლუშკოს და 4:6 3:6 წააგო.

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## მერვედფინალი. პირველი მატჩები. წუხელ

**არსენალი 0:0 მილანი**

არსენალი: ლემანი, სანია, კ. ტურე (სენდეროსი 7), გალასი, კლიში, ებუ (ულკოტი 90), ფლამინი, ფაბრეგასი, გლები, ადებაიორი, ედუარდო (ბენდტნერი 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მილანი: კალაჩი, ოდო, ნესტა (იანკულოვსკი 50), კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (ემერსონი 86), კაკა, პატო (ჯილარდინო 77)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პატო, სენდეროსი, ებუ
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
60 000 მაყურებელი

**ლიონი 1:1 მანჩესტერი**

1:0 ბენზემა (54), 1:1 ტევესი (87)
ლიონი: კუპე, რეველიერი, სკილაჩი, ბუმსონგი, გროსო, კლერკი (ბენ არფა 78), ჟუნინიო (ბოდმერი 74), ტულალანი, კალსტრიომი, გოვუ, ბენზემა (ფრედი 83)
მწვრთნელი: ალენ პერენი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, სქოულზი (ტევესი 65), ჰარგრივსი (კარიკი 78), ანდერსონი, გიგზი (ნანი 65), რონალდუ, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რეველიერი, კალსტრიომი, ბუმსონგი, ჰარგრივსი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
38 000 მაყურებელი

**სელტიკი 2:3 ბარსელონა**

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (16), 1:1 მესი (18), 2:1 რობსონი (38), 2:2 ანრი (52), 2:3 მესი (79)
სელტიკი: ბორუცი, კედისი (უილსონი 61), კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ჰარტლი (დონატი 65), რობსონი, მაკგიდი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სამარასი 55), მაკდონალდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, მარკესი, მილიტო, აბიდალი, დეკუ (ჩავი 66), ი. ტურე, ინიესტა, მესი, რონალდინიო (ეტოო 73), ანრი (გუდიონსენი 88)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: რობსონი, დეკუ, ჰარტლი, სამარასი
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
59 000 მაყურებელი

**ფენერბაჰჩე 3:2 სევილია**

1:0 კეჟმანი (17), 1:1 ედუ (23ს.კ.), 2:1 ლუგანო (57), 2:2 ესკუდე (66), 3:2 სემიჰი (87)
ფენერბაჰჩე: ვოლქანი, გოხანი, ედუ, ლუგანო, რ. კარლოსი (ვედერსონი 68), სელჩუკი, აურელიო, უღური (კაზიმ-რიჩარდსი 78), დეივიდი, ალექსი, კეჟმანი (სემიჰი 84)
მწვრთნელი: ზიკო
სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანუ, ხესუს ნავასი, კეიტა, პოულსენი, დუდა (კაპელი 63), ლუიშ ფაბიანო, კანუტე
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: უღური, კეჟმანი, კარლოსი, პალოპი, ალექსი, სელჩუკი
მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)
46 000 მაყურებელი


ეს ის მომენტია, კახა კალაძეს ემანუელ ადებაიორის ფეხი რომ მოხვდა

# ჩემპიანთა ლიგა

**„მანჩესტერს“** სასტარტო შემადგენლობაში ჰყავდა რაიან გიგზი. ამაში გასაკვირი, ცხადია, არაფერია, მაგრამ სახსენებელი კი გახლავთ — უელსელისთვის ეს მე-100 საჩემპიონთალიგო მატჩი იყო „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში.

თუმცა წუხელ ოთხ ევროპულ სტადიონზე ამ საინტერესო ფაქტზე უფრო მეტად საინტერესო ამბებიც მოხდა, რომელთაგან ჩვენ, პირველ რიგში, „არსენალისა“ და „მილანის“ მატჩს გამოვარჩევთ.

ეს თამაში ალბათ ნახეთ და ვინძლო ესეც მოგხვდათ თვალში — სრულიად არანორმალური, გიჟური ტემპი. საგოლე მომენტები და ჭკვიანური კომბინაციები წამით რომც დავივიწყოთ, თუნდაც ამ ტემპის ხარჯზე იყო ეს თამაში ძალიან კარგი სანახავი. და თუ ამას მომენტებს, კომბინაციებს და ფეხბურთელთა ოსტატობას დავუმატებთ... მოკლედ, ეს არის უმაღლესი ხარისხის ფეხბურთი.

„არსენალი“ მეტოქეს აშკარად ჯობდა და თუ ვერ გაიტანა, მცველების და უპირველესად მეკარე კალაჩის საუცხოო თამაშის გამო. კალაჩის არც ერთი ეფექტური ნახტომი არ გაუკეთებია, უბრალოდ, ის ყოველი დარტყმისას უზუსტესად ირჩევდა პოზიციას და მეკარის კლასი და საიმედოობა, აბა, მეტი რა არის... ერთადერთი, სულ ბოლო, მეოთხე წამატებულ წუთზე იყო, მეკარეც უძლური რომ გახლდათ და, როგორც ამბობენ, ძელი მეკარის მეგობარიაო, „მილანის“ კარი ხარიხამ იხსნა...

ქართველ გულშემატკივარს კი კალაჩიზე მეტად, ცხადია, კახა კალაძის თამაში აინტერესებს და ზემოთ მილანელ მცველთა საიმედო გარჯა რომ ვახსენეთ, კალაძეც ვიგულისხმეთ.

„სელტიკს“ კი ჩემპიონთა ლიგაში საშინაო მოგებათა სერია შეუწყდა. „ბარსელონას“ სტუმრობამდე გლაზგოელებს მიჯრით სამი თამაში ჰქონდათ მოგებული და წუხელაც ორჯერ იგებდნენ: ვენეგოორ ოფ ჰესელინკის გოლს ლეო მესიმ ორ წუთში უპასუხა; ბარი რობსონის ტაიმის მომგებს ტიერი ანრიმ შესვენებიდან შვიდ წუთში მეორე საპასუხო შეაგება; ბოლო კი მაინც ბარსელონური გამოდგა — მასპინძლებმა ბურთი ვერ ამოიტანეს და მესიმ კატალონიელებს მოაგებინა.

თავში ნახსენები რაიან გიგზის „მანჩესტერს“ კი მხსნელად კარლოს ტევესი მოევლინა თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე. იქამდე კი, მეორე ტაიმის დაწყებიდან მცირე ხანში, ქარიმ ბენზემამ დააწინაურა ფრანგები.

წუხანდელი ერთადერთი არაბრიტანული თამაში კი სტამბოლში გაიმართა და „ფენერბაჰჩემ“ „სევილიას“ მოუგო.

გლაზგოელებისა არ იყოს, სტამბოლელებიც ორჯერ იგებდნენ და სტუმრებმა ორჯერვე გაუთანაბრეს. მაგრამ მსგავსებანი აქ მთავრდება, რაკი გამარჯვების გოლი მასპინძლებმა შეაგდეს.

**ქოთე ქექელია**


ფენერბაჰჩე — სევილია.
ანდრეს პალოპმა კი იფრინა,
მაგრამ სამი გოლი მაინც გაუშვა


ლიონი — მანჩესტერი.
ფრანგთა მომენტებში
სიდნეი გოვუს ეს დარტყმაც იყო

### შოტლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
მოზერუელი 3:1 ინვერნესი

### უნგრეთი
ლიგის თასი. 1/8 ფინალი
ნიირედიჰაზა 1:1 ჰონვედი
კაპოშვარი 2:1 შიოფოკი
დებრეცენი 3:2 რეაკი
ფეჰერვარი 0:1 პაკში
ზალაეგერსეგი 1:1 დიორი
მტკ 2:0 უიპეშტი
ტატაბანია — შოპრონი გადაიდო

### საბერძნეთი
სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ლევადიაკოსი 3:0 ირაკლისი

### პოლონეთი
ლიგის თასი
1/4 ფინალი. I მატჩი
გროცლინი 2:2 ოდრა

### ამხანაგური მატჩები
მეძიკა 2:0 ჩილე
ლევსკი 3:0 ვიდიმა
ჰორსენსი 7:1 ბრაბრანდი
სილკებორგი 0:0 ვიბორგი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge